ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 3 ივნისი, 2020 №120 (8384) ფასი: 60 თეთრი

პაატა სალიას პირადი ცხოვრების ჩანაწერების გასაჯაროებით ემუქრებიან

გვ.5

დავით ზეიკიძე: „სალია ტელეფონში მაგინებდა“

„ქართულ ოცნებაში“ კალაძისა და გახარიას კლანები ერთმანეთის ჭამენ“

გვ.3

გიორგი გახარია პრემიერის პოსტს 15 ივნისამდე დატოვებს

გვ.2

გიგლა ბარამიძე: „ხელისუფლებამ ბიუროკრატიული აპარატი 40%-ით უნდა შეამციროს“

გვ.2

გია ხუხაშვილი: „30 ოპოზიციური პარტიის 30-მა ლიდერმა მაჟორიტარად უნდა იყაროს კენჭი“

„შიდა კენჭისყრით გადაწყვიტონ, ვის რომელი ოლქი შეხვდება“

„საქართველო დავითგარეჯს თუ დათმობს, მაღლს დაკარგავს“

ნიკოლოზ მჟავანაძე: „მივმართოთ ამერიკას, რომ აზერბაიჯანთან პრობლემა მოგვიგვაროს“

გვ.3

გვ.4

ლევან ალაფიშვილი: „საკონსტიტუციო ცვლილებებზე პასუხისმგებლობა ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც ეკისრება“

გვ.4

დაუშვებს თუ არა ხელისუფლება საქართველოს საჰაერო სივრცეში რუსეთის ფრენებს?

ISSN 1987-9385

2 გიგა ბოკერია: „მომავალი პრემიერ-მინისტრი „ევროპული საქართველოს“ წევრი უნდა იყოს“

5 თბილისის საქალაქო სასამართლო: „ადვოკატ არჩილ კბილაშვილის განცხადება ცილისმწამებლურია“

5 შსს-მ ქუთაისში პოლიციელების მიმართ განხორციელებული ბრალდებით ერთი პირი დააკავა

6 კუომო ტრამპის წინააღმდეგ „პრეზიდენტს რეალობის გადაკეთება სურს“

გია ხუხაშვილი: „30 ოპოზიციური პარტიის 30-მა ლიდერმა მაჟორიტარად უნდა იყაროს კენჭი“

„შიდა კენჭისყრით გადაწყვიტონ, ვის რომელი ოლქი შეხვდება“

იაგო ნაცვლიშვილი

ოპოზიციაში საერთო მაჟორიტარების საკითხზე გარკვეული ბზარები უკვე გაჩნდა. გაისმა მოსაზრება, რომ არა მაჟორიტარობის საერთო კანდიდატებზე შეთანხმდნენ, არამედ იმაზე, რომ ვინც მეორე ტურში გავა, მას დაუჭირონ მხარი. როგორც ჩანს, მანდატებისთვის ბრძოლა უკვე დაიწყო ოპოზიციაში, პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი კი ოპოზიციას მარტივ ფორმულას სთავაზობს, რომლის მიხედვითაც, 30 პარტიის 30 ლიდერი უნდა დადგეს მაჟორიტარად.

უფრო დეტალურად მისი იდეისა და იმის შესახებ, ვის რა შანსები აქვს პარტიებსა და რა გადაჯგუფებებს უნდა ველოდოთ ოპოზიციაში, გია ხუხაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს.

– საინტერესო პოსტი გამოაქვეყნეთ სოციალურ ქსელში, თუმცა მას კონკრეტიკა აკლდა, ცოტა მეტი სიცხადე რომ შევიტანოთ და გავშალოთ თემა. ოპოზიციაში მაჟორიტარების საკითხზე დაპირისპირება შეინიშნება?

– რა არის, იცით? ამის ისტორიული გამოცდილება გვაქვს, რომ ყველანაირი უბედურება კეთილი სურვილებით იწყება. კეთილი სურვილებია თავიდან და მერე გადადის უბედურებაში. ქართული პოლიტიკა ქართულ სუფრას ძალიან ჰგავს. თავიდან ყველას უყვარს ერთმანეთი ძალიან, სიყვარულს ეფიცებიან, ერთმანეთის სადღეგრძელოებს სვამენ და სუფრის ბოლოს ერთმანეთს თავ-პირს ამტვრევენ.

– საინტერესო შეფასებაა...

– დაახლოებით ეს ისტორია მეორდება ქართული პოლიტიკის შემთხვევაშიც.

თუ ახალი საარჩევნო სისტემა მიიღეს, მისი ძირითადი კონიუნქტურა განისაზღვრება პროპორციული ნაწილით. 30 მაჟორიტარული ოლქი არ არის კრიტიკული საკითხი, რაზეც შეიძლება ღირდეს დიდი ჩხუბები. აქედან გამომდინარე მე ვფიქრობ, რომ ვითარება უნდა გამარტივდეს. ანუ, უნდა მოიძებნოს ფორმულა, სადაც მაინცდამაინც გასაყოფი არაფერი არ იქნება. როდესაც 30 პარტია ზის, ბუნებრივია, ერთ ბლოკში არ იქნებიან, მაგრამ გარკვეული კოორდინაცია უნდა მოხდეს ამ 30 მაჟორიტარულ ოლქთან დაკავშირებით.

პრაიმერიზის ჩატარება ან რაიმე სახით გამოვლენა ზღაპარია.

– დავაკონკრეტოთ, ამას საუბრობთ არა „ძალა ერთობაშია“ ფორმატზე, არამედ ლეიბორისტების ოფისში შეკრებილ გაფართოებულ ფორმატზე?

– დიახ, მე ვგულისხმობ დიდ გაერთიანებას, რომელშიც ცდილობენ, რომ გარკვეული კოორდინაცია მათ შორის იყოს. აქ ძალიან მარტივი მოცემულობით შეიძლება დალაგდეს ვითარება. თუ მაგიდასთან ზის 30 პარტია და არის 30 ოლქი, შესაბამისად, ამ 30 პარტიას ჰყავს 30 ლიდერი, ეს ლიდერები დადგნენ მაჟორიტარობის კანდიდატებად. გასაგებია, რომ ყველა არ არის თანაზომადი, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ მაჟორიტარული საკითხი ამ შემთხვევაში კრიტიკულად მნიშვნელოვანი არ არის და ყველას უნდა, რომ სრულფასოვანი პარტია ეწოდებოდეს, ყველა ლიდერმა იყაროს კენჭი მაჟორიტარად.

აქ ბევრი რამის ტესტირება მოხდება. იმ კონკრეტულ ოლქში, რომელშიც იქნება წარდგენილი, ყველა დანარჩენმა მას დაუჭიროს მხარი. გარდა ამისა, ეს ლიდერები აცხადებენ, რომ ნაციონალური მასშტაბების ლიდერები არიან, შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, რომელ ოლქში იყრიან კენჭს. მათი ცნობადობაც შედარებით მაღალია, ვიდრე ნებისმიერი პარტიის რიგითი წევრისა. იქიდან გამომდინარე, რომ ხშირად ჩანან ტელევიზორში.

ვინ სად უნდა იყაროს კენჭი, ესეც მოხდეს იმგვარად, როგორც საფეხბურთო კენჭისყრა ხდება. ჩაყარონ 30 ბურთულა დოლურაში და ვინ სადაც ამოვა, იმ ოლქში იყარონ კენჭი.

– თქვენ მიღწევადი გგონიათ ის, რომ შეთანხმებას შეძლებენ პარტიები?

– აქ არ არის საუბარი რაღაცის განაწილებასა და გამონაწილებაზე, რაც სერიოზული რისკების შემცველია ხოლმე. მთავარია, რომ შეთანხმდნენ, იყრის თუ არა 30-ვე პარტიის ლიდერი კენჭს. თუ იყრიან კენჭს, მერე რომ არ იყოს დისკუსია, ვინ რომელ ოლქში იყრის კენჭს, ამიტომ მოხდეს ფარული წესით კენჭისყრა. ეს არის ყველაზე მარტივი ფორმულა, რაც გამორიცხავს ეჭვიანობას, მე უფრო მაგარი ვარ თუ შენ უფრო მაგარი ხარო. ეს არის რაციონალური ფორმულა, რომელიც გამორიცხავს ბევრ რაღაცას.

– იმისთვის არ იქნება ბრძოლა, რომ ვთქვათ, ვიღაცამ თქვას, რომ მე უფრო მსხვილი და სოლიდური პარტია მაქვს და არ მაკმაყოფილებს ერთი მაჟორიტარული ოლქი?

– მსხვილი პარტია რომ გაქვს, ამისთვის არსებობს პარტიული სიები. ბუნებრივია, ასეთ პარტიებს სიებში მეტი ადგილები ექნებათ. გარდა ამისა, ვიღაცა ცალკე იყრის კენჭს, მაგრამ მაჟორიტარულ კოორდინაციაში უნდა მონაწილეობის მიღება. ამ დიდი კოორდინაციის ელემენტებად შემომაქვს ეს ყველაფერი. ძირითადი დავა განისაზღვრება პროპორციული არჩევნებით. თუ 120/30-ზე სისტემით ჩატარდება არჩევნები, ძირითადად ამ 120 მანდატის გადანაწილებით მოხდება კონიუნქტურის განსაზღვრა. იმის მიხედვით, ვინ რამდენს მიიღებს.

– ამ ფონზე რამდენად სწორი იყო „ლელოს“ გადაწყვეტილება, რომლის ლიდერებმაც თქვეს, რომ ყველა ოლქში კანდიდატების დაყენებას აპირებენ?

– ეს მათი გადასაწყვეტია. მათ თქვეს, რომ ამ სისტემაში ისინი არ მონაწილეობენ. ამ მარტივი ფორმულის ჩამოყალიბებით ურთიერთსაპრეტენზიო და სადავო არაფერი არ დარჩება, რაც მათ შანსებს, ჩემი აზრით, გაზრდის.

– საუბარია, რომ ელისაშვილი შევა „ლელოში“. პარტიათა როგორ გადაჯგუფებას ელოდებით და რა შანსები აქვთ პატარა პარტიებს?

– გარკვეული გამსხვილება მოხდება, მაგრამ ფრონტი უნდა გაიშალოს, მე ამაში დარწმუნებული ვარ. იმის მცდელობა, რომ ერთი დიდი პოლიტიკური გაერთიანება გაკეთდეს, არის შეცდომა, მაგალითად, ნაციონალური მოძრაობის ნიშნით. ეს შეცდომად იმიტომ მიმაჩნია, რომ რაღაც კატეგორიის ამომრჩეველს „ოცნება“ არ მოსწონს, მაგრამ არც ნაციონალური მოძრაობა უნდა. მას არც წარსული უნდა და არც აწმყო, მას უნდა მომავალი. შესაბამისად, მისთვის უნდა მოხდეს ალტერნატიული შეთავაზებების გაკეთება. შესაბამისად, ფრონტი რაც უფრო გაიზრდება, მით უკეთესია. ახლა კონკრეტულად რომელ პარტიას რა შანსები აქვს, ამაზე პასუხის გაცემა გამიჭირდება.

ბარიერზე თუ ვილაპარაკებთ, ჯერჯერობით რამდენიმე პარტიაა, რომელიც გადალახავს ბარიერს, თუმცა ეს არ გამორიცხავს, რომ სხვა პარტიებს შანსი არ აქვთ. ვინც ბარიერს გადალახავს, ეს პარტიებია: „ქართული ოცნება“, „ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპული საქართველო“, „ლელო“ და „პატრიოტთა ალიანსი“. ეს არის ის პარტიები, ვინც გარანტირებულად გადალახავს ბარიერს. დანარჩენები ან ამ ძირითად ცენტრებს მიუერთდებიან, ან თვითონ მოახერხებენ რაღაც ახლის შეთავაზებას, რაც ნაკლებად სავარაუდოა.

– მაგალითად, ბურჯანაძეს საით ხედავთ?

– არ ვიცი. შეიძლება ბურჯანაძე და რამდენიმე პარტია შეიკრიბოს, არ ვიცი. ეს ბურჯანაძემ თავად უნდა გადაწყვიტოს. იყო დრო, როდესაც ასეთ საკითხებს ვალაგებდი, ახლა მე ამაში აღარ ვმონაწილეობ.

გიორგი გახარია პრემიერის პოსტს 15 ივნისამდე დატოვებს

15 ივნისამდე ქვეყანას, სავარაუდოდ, ახალი მთავრობის მეთაური ეყოლება.

როგორც 2020 ნიუსს ინფორმირებული წყარო უყვება, დაანონსებული სამთავრობო ცვლილებები მიმდინარე თვის დასაწყისში განხორციელდება და პრემიერ გიორგი გახარიას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოქმედი ხელმძღვანელი გრიგოლ ლილუაშვილი შეცვლის.

სააგენტოს ინფორმაციითვე, მომავალი პრემიერის კანდიდატურაზე კონსულტაციები უკვე დასრულებულია და სწორედ ლილუაშვილია ის საპრემიერო კანდიდატი, რომელიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის „ოცნების“ პოლიტიკურ მარათონს გახსნის.

სამთავრობო ცვლილებები შეეხება მინისტრთა კაბინეტის წევრებსაც, გარდა ძალოვანი უწყებების პირველი პირებისა.

მმართველმა გუნდმა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფოს მინისტრის, ქეთევან ციხელაშვილის შემცვლელის დიპლომატიურ წრეებში ძებნა დაიწყო.

მას შემდეგ, რაც ციხელაშვილი თანამდებობას ოფიციალურად დატოვებს და საქმიანობას ავსტრიაში ელჩის თანამდებობაზე გააგრძელებს, მინისტრობის ახალი კანდიდატიც მოიძებნება. საგულისხმოა ასევე ის, რომ მას უფლებამოსილების ვადა მინისტრის რანგში სწორედ 15 ივნისს ეწურება.

საპარლამენტო არჩევნებამდე ზუსტად 5 თვით ადრე, „ქართული ოცნების“ ლიდერი ოლიგარქი მინისტრთა კაბინეტის ახალ შემადგენლობასა და ახალ საპარლამენტო გუნდზე კონსულტაციებს გადის. კონსულტაციების დასრულებამდე დღეებიღა დარჩა.

2020 ნიუსის ცნობით, ბოლო თვეების განმავლობაში არაფორმალური მმართველის კარზე მწვავე შიდა კონკურენცია მიმდინარეობდა. იმის მიუხედავად, რომ გიორგი გახარიას პრემიერობიდან გაშვება ჯერ კიდევ ადრე გაზაფხულზე იყო გადაწყვეტილი და მის შემცვლელად სუსის უფროსის, გრიგოლ ლილუაშვილის დანიშვნა, კორონაპანდემიამ პოლიტქასტინგის ვადა გაახანგრძლივა.

შიდა კონკურენციაში 3 ძირითადი კანდიდატი მონაწილეობდა – სუსის უფროსი გრიგოლ ლილუაშვილი, ინფრასტრუქტურის მინისტრი და პირველი ვიცე-პრემიერი, მაია ცქიტიშვილი და ეკონომიკის მინისტრი ნათია თურნავა.

დასახელებული კანდიდატურებიდან ივანიშვილის უპირობო ფავორიტი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი გრიგოლ ლილუაშვილი იყო, მაგრამ კონკურენციას რომ სიმძაფრე არ მოკლებოდა, ბრძოლის შანსებს მაია ცქიტიშვილსაც აძლევდა.

ნათია თურნავაც არ იყო „უპატრონო“. მის კანდიდატურას აქტიურად ლობირებდნენ ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებული ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილი და ოლიგარქის დეიდაშვილი უჩა მამაცაშვილი.

მაია ცქიტიშვილს და გრიგოლ ლილუაშვილს „ქართუს“ ბექგრაუნდი აქვთ. აღმასრულებელ ხელისუფლებაში სერიოზული პორტფელების ჩაბარებამდე ისინი ივანიშვილის პირად ფონდ „ქართუში“ ბეჯითად მუშაობდნენ და დაუფასდათ კიდეც სიბეჯითე – მამა-მარჩენალმა მათი კარიერული აღმასვლა უზრუნველყო.

ნათია თურნავა ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში, როდესაც ვანო ჩხარტიშვილი ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის თანამდებობას იკავებდა, 2000-2001 წლებში მისი პირველი მოადგილე იყო. იმ პერიოდიდან მოყოლებული, ჩხარტიშვილი ნათია თურნავას პატრონაჟს წარმატებით უზრუნველყოფს. თურნავას სამინისტრო წლების განმავლობაში არ დაუტოვებია. მას მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს გაურთულდა კარიერული კიბე, როდესაც ვანო ჩხარტიშვილს სააკაშვილის ხელისუფლებასთან ურთიერობები დაეძაბა.

გიგა ბოკერია: „მომავალი პრემიერ-მინისტრი „ევროპული საქართველოს“ წევრი უნდა იყოს“

– რაც შეეხება კანდიდატურებსა და სახელებს, ყველა პოლიტიკურ ჯგუფს თავისი ფავორიტი ეყოლება, მათ შორის კოალიციური მოლაპარაკება იმის მიხედვით წარიმართება, ვინ რა შედეგს მიიღებს და ვის რა წონა ექნება.

ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა, გიგა ბოკერიამ მომავალი პრემიერობის კანდიდატურასთან დაკავშირებით განაცხადა.

მისი თქმით, კოალიციური მოლაპარაკება იმის მიხედვით წარიმართება, რომელი პოლიტიკური ძალა არჩევნებზე რა შედეგს მიიღებს და ამ თვალსაზრისით, ვის რა წონა ექნება.

– ძალიან კარგია, რომ სასამართლო რეფორმაზე, ამ ფუნდამენტურ საკითხსა და გეგმაზე შეთანხმება შედგა, ეს არის მნიშვნელოვანი. რაც შეეხება კანდიდატურებსა და სახელებს, ყველა პოლიტიკურ ჯგუფს თავისი ფავორიტი ეყოლება, მათ შორის კოალიციური მოლაპარაკება იმის მიხედვით წარიმართება, ვინ რა შედეგს მიიღებს და ვის რა წონა ექნება.

ამ ეტაპზე ლოგიკურია, რომ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც ცალ-ცალკე გადიან არჩევნებზე, თავიანთი ხედვა ჰქონდეთ იმის თაობაზე, რა პერსონებს უკავშირებენ ამა თუ იმ მიმართულებებს. საბოლოოდ, ეს კომპოზიცია იმის მიხედვით შედგება, ვინ რა წონას მოიპოვებს.

„ევროპული საქართველოს“ ამოცანაა, რომ ამ კოალიციაში სიმძიმის ცენტრი ჩვენ ვიყოთ, სხვების ამოცანაა, რომ ისინი იყვნენ. ეს მოგვიანებით გაირკვევა, მაგრამ რამდენად სწრაფი რეფორმები გატარდება და რაზე ვართ უკვე შეთანხმებული იმის მიუხედავად, ვის რა წონა ექნება, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

მისი შეფასებით, ქვეყნის მომავალი პრემიერი ძლიერი გუნდის ლიდერი უნდა იყოს, რომელმაც სხვადასხვა სფეროში რეფორმები უნდა გაატაროს.

– ქვეყნის პრემიერი ძლიერი გუნდის ლიდერი უნდა იყოს, უნდა ჰქონდეს ხედვა, ამ ძალიან მძიმე მდგომარეობიდან ქვეყანას როგორ გამოიყვანს, ეკონომიკაში როგორ დაწევს გადასახადებს, როგორ გაუადვილებს ცხოვრებას ჩვენს მოქალაქეებს, განსაკუთრებით ამ გამოწვევის დროს. როგორ გადატეხს სასამართლოში იმ მემკვიდრეობას, რომელიც ვერ მოვიშორეთ, როგორ წაიყვანს ქვეყანას თავისუფალი სამყაროსკენ.

მოკლედ, ახლა რომ დაგიხასიათოთ, როგორი უნდა იყოს, „ევროპული საქართველოს“ წევრი უნდა იყოს, – აღნიშნა გიგა ბოკერიამ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გიგლა ბარამიძე: „ქართულ ოცნებაში“ კალაძისა და გახარიას კლანები ერთმანეთის ჭამენ“

„ხელისუფლებამ ბიუროკრატიული აპარატი 40%-ით უნდა შეამციროს“

მარიამ მჭედლიშვილი

როგორ უნდა მოხდეს ბიუჯეტის კორექტირება პოსტეპიდემიურ პერიოდში? რა მოხდება ოპოზიციაში მაჟორიტარების თაობაზე? ვის სად წამოაყენებს „ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა“? ჩანს თუ არა პოლიტიკური შენარჩუნების ორპოლუსიანობის ნიშნები? რა სახის დაპირისპირებაა მმართველ პარტიაში? ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობის“ გენმდივან გიგლა ბარამიძეს.

– კორონავირუსისგან გამოწვეული პრობლემების გამო იგეგმება მიმდინარე წლის ბიუჯეტის პროექტის კორექტირება. თქვენი აზრით, მოიკლებს ხელისუფლება ხარჯებს?

– მთავრობა ამ გასაჭირში ამის წინაშე დადგა. ბიუჯეტის კორექტირება ახლა კი არა, კორონავირუსის გაჩენის პირველივე დღეებში უნდა მომხდარიყო. ეს პროცესი სპეციალურად გაიწელა.

– რისთვის?

– იმისთვის, რომ დახმარების დარიგება მოგვიანებით დაეწყოთ და არჩევნებთან მიეახლოვებინათ. 200-ლარიანი კომპენსაცია რამდენიმე თვის განმავლობაში უნდა გაიცეს. გაცემის ბოლო ვადა ემთხვევა არჩევნების პერიოდს. მთავრობა ვალდებულია, მოიკლოს ხარჯები. ჩინოსნური აპარატი უზომოდ არის გაბერილი. მოხელეების ასეთი უზარმაზარი რაოდენობა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიას არ ახსოვს. სხვადასხვა უწყებაში, აიპებსა და სსიპებში დასაქმებულების დიდი ნაწილი არაფერს აკეთებს. ეს ადამიანები, უბრალოდ, მუქთახორები არიან და ხალხის ხარჯზე იღებენ ხელფასებს, ასევე, პრემიებსა და დანამატებს. ადრეც ვამბობდით, რომ ბიუროკრატიული აპარატი შესამცირებელია. ამის საჭიროება უფრო მეტად ახლა დადგა. ჩინოსნების 40 -45% შესამცირებელია. შტატები იმდენად გაბერილია, რომ მათი შემცირება სახელმწიფოს არ დააზიანებს.

– ეს ხელისუფლება ოპტიმიზაცია-შემცირებასა და ყაირათიანობას ბევრჯერ შეგვპირდა. ამის მიუხედავად, სულ სამი თუ ოთხი კაცი შეამცირეს.

– სამინისტროებს სახელები გადაარქვეს და სულ ეგ იყო. თბილისის მერიაში, თავისი აიპებიან-სიპებიანად, იმაზე მეტი თანამშრომელი მუშაობს, ვიდრე ლონდონის, ნიუ-იორკისა და პარიზის მერიებში ერთად აღებული. ესენი თანამშრომლებს ზრდიან. ყველგან, ყველა უწყებაში, უამრავი ხალხია – თანაშემწეებიან-მოადგილეებიანად. ბიუჯეტის ფული მარტო ხელფასებზე ხომ არ იხარჯება! ხალხის ფული მიედინება მათ მგზავრობაზე, ავეჯზე, ყავაზე და ა. შ.

– არჩევნებს შევეხოთ. სამიოდე თვის წინ ოპოზიციურ ერთობაში დიდი ენთუზიაზმი შეინიშნებოდა მაჟორიტარების კანდიდატების შეთანხმების თაობაზე. ახლა უკვე ბევრი აღიარებს, რომ ყველგან, ყველა ოლქში, ოპოზიცია ერთიან კანდიდატებზე ვერ შეთანხმდება.

– ეს ჩვენ ყოველთვის ვიცოდით. ვამბობდით, რომ ჯერ ადრე იყო შედეგებზე საუბარი. ამაზე ისეთი პარტიებიც ვერ თანხმდებიან, ფინანსურად და რაოდენობითაც რომ სილიდურად გამოიყურებიან.

– მით უმეტეს, შეთანხმება ყველაფერზე ძნელია ოპოზიციურ ერთობაში?

– რასაკვირველია. ჩვენი პარტია სხვებთან ერთად რაიმე ორგანიზაციაში არ შესულა. სხვების გვერდით დროებით დავდექით ერთადერთი საკითხის – საარჩევნო ცვლილებების გამო. დარწმუნებული ვართ, ამას მივაღწევთ.

– და კრიტიკოსებს სალაპარაკოს მოუსპობთ?

– ჩვენსკენ ხელის გაშვერა უნდა დამთავრდეს! ჩვენ დამოუკიდებელი პარტია ვართ და დამოუკიდებლად ვმოქმედებთ. პირობებს არ ვარღვევთ. არ ვყოფილვართ გარიგებული არც წინა და არც ახლანდელ ხელისუფლებასთან. რაც შეეხება კოორდინაციას მაჟორიტარების კანდიდატებზე, ეს შესაძლებელია. ამით დავუპირისპირდებით „ქართული ოცნების“ კანდიდატს. თუმცა, გააჩნია შეთანხმების პირობებს და კანდიდატს.

– თქვენ ბევრგან გეყოლებათ კანდიდატები? მათ დაასახელებთ?

– დასახელებით ჯერ არა. ღირსეული მაჟორიტარობის კანდიდატები შერჩეული გვყავს. ჯერ დარწმუნებით ვერ ვიტყვით, რომელი მათგანი იქნება წამოყენებული. საარჩევნოდ ოფისების ფული გამონახული გვაქვს, მაგრამ მაჟორიტარად კენჭისყრას სხვა თანხები უნდა. ამიტომ, განსჯის პროცესში ვართ. სადაც მეტი შანსი იქნება, იქ ვიმოქმედებთ.

– სხვა მხრივ რა ხდება პოლიტიკაში? ისევ ორპარტიული კონფლიქტი და ორპოლუსიანობაა? ვგულისხმობ „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალების სპარინგ-პარტნიორობას.

– ამის მცდელობა არის. მმართველ პარტიას ნაციონალური მოძრაობა ჰაერივით სჭირდება. ეს ამ დღეებშიც ნათლად გამოჩნდა, როცა პრემიერი პარლამენტში მივიდა.

– პრემიერსაც დასჭირდა ნაცმოძრაობა?

– გახარიას შეკითხვებს უსვამდნენ. როცა პასუხი არ ჰქონდა, ნაციონალური მოძრაობის მძიმე წარსულს იყენებდა და იხსენებდა. სხვათა შორის, ნაციონალური მოძრაობა, ასევე, ევროპულ საქართველოში გაერთიანებული ყოფილი ნაციონალები ერთ სწორ დასკვნამდე მივიდნენ. მათ გააცნობიერეს, რომ ერთპარტიული მმართველობა მიუღებელია. ისინი მიხვდნენ, რომ ფარტო სპექტრთან უნდა ითანამშრომლონ.

– მმართველი პარტია ამას ვერ მიხვდა?

– როგორც ჩანს, ვერა. „ქართული ოცნება“ გახდა გააზნაურებულ მდაბიოთა სექტა, რომელსაც სახელმწიფოებრივი აზროვნება არ გააჩნია. ამ ხალხს უნდა მდგომარეობის შენარჩუნება. ესაა ამ ხელისუფლების მიზანი.

– საუბარია იმაზე, რომ მმართველი პარტიის სიაში ჩასვამენ მინისტრ თეა წულუკიანს და პრემიერ გახარიას. თუ ეს მოხდა, ამით მოიმადლიერებენ თუ არა „ოცნების“ იმ მხარდამჭერებს, რომლებიც ხელისუფლებას ნაციონალურ მოძრაობასთან ახალ გარიგებას საყვედურობენ და უგულავასა და ოქრუაშვილის შეწყალების გამო მძაფრად აკრიტიკებენ?

– მოიმადლიერებენ თუ არა, არ ვიცი. საარჩევნო სიის შედგენა სხვა რამეს უკავშირდება. „ქართულ ოცნებაში“ შიგნით დიდი დაპირისპირებაა – კალაძისა და გახარიას კლანები ერთმანეთს ჭამენ. კალაძეს აქვს გავლენა პარლამენტზე. მთავრობაში კალაძემ პოზიციები დაკარგა. იქ გახარიაა ძლიერი. კლანებს ერთმანეთში კონფლიქტი და კონკურენცია აქვთ. ივანიშვილმა ეს იცის და ვარირებს კლანებს შორის. სიის შედგენაზე ისეთი ამბავი აქვთ, რომ ლამის მეორე მსოფლიო ომი განახლდა.

„საქართველო დავითგარეჯს თუ დათმობს, მაღლს დაკარგავს“

ნიკოლოზ მჟავანაძე: „მივმართოთ ამერიკას, რომ აზერბაიჯანთან პრობლემა მოგვიგვაროს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ უფლებადამცველთა ასოციაციის თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე პასუხობს.

– ბატონო ნიკოლოზ, დავითგარეჯთან დაკავშირებული საკითხი კვლავ გადასაწყვეტია, ხელისუფლების პოლიტიკა კი ამ საკითხთან დაკავშირებით ბუნდოვანია. როგორია თქვენი შეფასებები?

– 6 ათასი გარეჯელი ეწამა ამ მიწისთვის და რისთვის?! უყურადღებოდ გვაქვს მიგდებული ეს თემა და გავიძახით, კომისია, კომისიაო და მოვიდნენ ლამის თბილისამდე. ყველაფერი მიითვისა უკვე აზერბაიჯანმა. ხელისუფლების პოლიტიკა, როგორ ჩანს, ასეთია, რომ აღარ უნდა ახალი მტერი გაიჩინოს. არ უნდა ახალი კერა გააჩინოს, მაგრამ ყველაფერს ხომ არ დავუთმობთ, არა?! ჩვენი ქართული მიწა ასე თუ ყველას დავუთმეთ, ვისაც რა მოუნდება, ჩვენ რაღა გვრჩება?!

მიმართონ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რას უცდიან? ყველა დეტალს და საარჩევნო საკითხს მათთან ათანხმებენ და ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე რატომ არ ტეხენ განგაშს?! მიწას გვართმევენ და ეს საარჩევნო კოდექსზე მნიშვნელოვანი არ არის?! აზერბაიჯანელი ხელისუფლება დათმობაზე არ მოდის, რას ვიზამთ, ძალა აღმართს ხნავს.



– რა უნდა ქნას ხელისუფლებამ?

– მივმართოთ მეგობრებს. ეს ამერიკელები რისთვის არიან ჩვენი პარტნიორები. რაში გამოიხატება მათი მეგობრობა, რომ მარტო შეშფოთება-აღშფოთება გამოხატონ და ჭკუა დაგვარიგონ ჩვენ?! აზერბაიჯანი ოკუპანტია, მარტო ვერ ვაგვარებთ ამ თემას და მეგობარი იმისთვის გვინდა, რომ ასეთ დროს დაგვეხმაროს.

– ახალი ტერიტორიების დაკავება ხომ არ ხდება მათი მხრიდან?

– მომდის ინფორმაციები, რომ უკვე მეცხვარეებსაც ავიწროვებენ და უფრო უარესდება სიტუაცია. ტურისტები საერთოდ აღარ ადიან იქ. მოიშალა უკვე ეს ყველაფერი. ფაქტიურად დავკარგეთ ყველანაირი ბერკეტი. იმ ლავრაში აღარავინ აღარ ადის უკვე.

– დავითგარეჯობა მოდის, მისცემენ მომლოცველებს მისვლის საშუალებას?

– რა გითხრათ, აბა, ის კი არა, გახარიაალიევის შეხვედრის დროს დადებული შეთანხმებაც არ სრულდება, არ უშვებენ იქ ჩვენს მამაოებს. ჩვენ ხომ შეთანხმება დავდეთ, რომ პირველ ჯერზე სამღვდელოება მაინც გადავა, ყოველგვარი პრობლემის გარეშეო. სამღვდელოებას არ უშვებენ და მომლოცველებს გაუშვებენ ეგენი?! ბოდიში და სამადლოდ უნდა მოვილოცოთ და მერე ისევ უნდა დაგვიკეტონ კარები?! ძალიან მაინტერესებს! ან რისგან იცავენ, ჩვენ ზურგზე მოვიკიდებთ ჩიჩხიტურს და წამოვიღებთ თუ რა!

– ასე მწვავედ არ იდგა საკითხი, ყოველთვის სადავო საკითხი იყო, მაგრამ ბოლო პერიოდში რატომ დაიძაბა ასე სიტუაცია?

– თავს ვისაც დაუხრი, ყველა შეგაჯდება კისერზე. ვხედავთ, რომ ხელისუფლება ვერაფერს აკეთებს.

– პრეზიდენტსაც ბრალდებოდა, სალომეს ჩასვლამ გაამწვავა საკითხიო.

– დიახ, სალომემ გაამწვავა სიტუაცია. ეს ქალი ჩვენი ქვეყნის მტერია. გახსნა ჭრილობა და მიატოვა. ახლა ეს გამოძიება და ამით კიდევ უფრო დააბრკოლებენ იმ ხალხს, ვინც გარეჯისთვის იბრძვის.

ჩვენ აზერბაიჯანელ ერთან არანაირი პრეტენზია არა გვაქვს, ჩვენ პრეტენზია გვაქვს აზერბაიჯანის სახელმწიფოსთან და იმ ხალხთან, დაჯგუფებები რომ არის ქვემო ქართლში

და მოუწოდებენ, იქ ჯვარი არ აღმართოთო და დაფინანსება არ იყოსო, 85% ჩვენ ვართო. დაიბაროს ერთი ეს ხალხი გამოძიებამ და დაინტერესდეს, ვინ არიან და რა უნდათ. რა უფლებით მოითხოვენ, საქართველოში ჯვარი არ აღმართოთო. ვინ არიან, საიდან მოვიდნენ?! ამ ჯვრებს და ხატებს შეეწირა ჩვენი წინაპარი. ამაზე დიდი შეურაცხყოფა რა გინდა?! ჰერეთში ვინმე რომ გამოვიდეს და თქვას, მეჩეთი არ ააგოთო, ეგრევე თავებს წააცლიან.

– პროტესტით არაფერი გამოვიდა, სხვა რა გზა არსებობს პრობლემის მოსაგვარებლად?

– პროტესტით იმიტომ არ გამოვიდა, რომ პროტესტი ჩაახშეს, იქ იჩუკაიძე დაიჭირეს. ჩვენი პროტესტი იმას კი არ მოიცავდა, რომ იქ შევარდნას აპირებდა ვინმე. ჩვენ პროტესტი გვაქვს ჩვენი ხელისუფლების მიმართ, რომ დროულად მოაგვაროს საკითხი. ომს ხომ არ დავუწყებთ აზერბაიჯანს?! უბრალოდ საკითხის გადაწყვეტას ვითხოვთ.

დღეს ჩვენ ვართ ჯაყოს ხიზნების ეპოქაში. ჯაყო აზერბაიჯანია და ნელ-ნელა ყველაფერს გვართმევს.

– ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკა შეშინებული უფროა თუ მიზანმიმართული?

– ჩვენი ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ ჩვენ პატრონი არა გვყავს. თუკი აზერბაიჯანს ოდესმე პრობლემა ექნება, რუსეთიც გვერდში დაუდგება და თურქეთიც, შეიარაღების კუთხით. ჩვენი ხელისუფლება ამ ყველაფრის გათვალისწინებით რომ ფრთხილობს, ეს გასაგებია და ამ სიფრთხილეს არ ვუკარგავ, მაგრამ ჩვენც ავდგეთ და მოვნახოთ ისეთი პარტნიორი, რომელიც დაგვიცავს. შეშფოთება-აღშფოთება არ შველის საქმეს. ამერიკა თუა ჩვენი პარტნიორი, მაშინ დაგვიცვას. დღეს ჩვენი ხელისუფლების ლოგიკა არის ასეთი, რომ ოღონდ რუსეთმა არ წაიღოს ჩვენი ტერიტორიები და თურქეთმა და აზერბაიჯანმა რამდენიც უნდათ იმდენი მიიტაცონ.

– გამოსავალი რა არის ამ სიტუაციიდან?

– გამოსავალი არის ის, რომ აუცილებლად უნდა შეწყდეს ეს კაპიტულანტური პოლიტიკა, ქვემო ქართლში რომ ჯგუფები მოქმედებენ, ჯვრების აღმართვას რომ გვიშლიან, დაიბარონ და ამ ყველაფერს სამართლებრივი შეფასება მისცენ.

– საპატრიარქო რატომ არ აფიქსირებს თავის პოზიციას ამ ყველაფერთან დაკავშირებით?

– გაურკვეველია მისი პოზიცია. კი, გასაგებია, რომ ისინი სახელმწიფოს უსმენენ და სახელმწიფო ეუბნება, არ გვინდა სიტუაციის დაძაბვაო. ამ ჩვენს სიჩუმეში თუ ეს ტერიტორია ჰერეთივით მიიერთეს, მერე რაღა მნიშვნელობა აქვს. დემეტრე თავდადებულის ერთადერთი ფრესკა არსებობს საქართველოში და ისიც მანდ არის.

საქართველო დავითგარეჯს თუ დათმობს, მადლს დაკარგავს. საერთოდ დავკარგავთ ყველაფერს. მე მინდა მივმართო საპატრიარქოს, რომ გააქტიურდეს. ეს პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები სოკარზე არიან მიყიდულები და ხმას არავინ იღებს.

დროა, დავიწყოთ აქტიური მოქმედებები, თორემ სხვაგვარად არ შეიძლება. ბრძენი ადამიანია ჩვენი პატრიარქი და დროა, თავისი პოზიცია დააფიქსიროს. ვაცადოთ, ვაცადოთო და ამდენი დრო გავიდა.

შეიცვალა რამე? პირიქით, გაუარესდა სიტუაცია.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

ლევან ალაფიშვილი: „საკონსტიტუციო ცვლილებებზე პასუხისმგებლობა ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც ეკისრება“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ლევან, რამდენად ელოდებით საკონსტიტუციო ცვლილებებს? ხომ არ ფიქრობთ, რომ ვისაც შეუძლია საარჩევნო სისტემის ცვლილების განხორციელება, მათ რეალურად არ აწყობთ ახალი მოდელი?

– დიდ პოლიტიკურ მოთამაშეებს არსებული საარჩევნო სისტემა უფრო აწყობთ, ვიდრე ახალი სისტემა. ახალი საარჩევნო სისტემა მსხვილი პოლიტიკური ძალებისთვის შესაძლოა არ იყოს ხელსაყრელი. თუმცა, ერთია პარტიული პოლიტიკა და მეორე, სახელმწიფოებრივი აზროვნება. არის საკითხები, როგორი რთულიც არ უნდა იყოს, პარტიულ, სუბიექტურ ინტერესზე მაღლა სახელმწიფო ინტერესი უნდა დადგეს.

როგორი რთულიც არ უნდა იყოს, ჩვენი დემოკრატია განვითარების ახალ ეტაპზე უნდა გადავიყვანოთ. დემოკრატიის განვითარების პროცესს ხელოვნურად ხელი არ უნდა შევუშალოთ.

ე.წ. ჩამკეტი, თუკი არსებული სახით იქნება ჩაწერილი კონსტიტუციაში, პრაქტიკულად გამორიცხავს ერთი პოლიტიკური სუბიექტის მიერ მთავრობის დაკომპლექტებას. შესაბამისად, ნებისმიერი პოლიტიკური ძალის განცხადება, რომ ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ერთპიროვნული მმართველი იქნება, საფუძველს მოკლებულია.

– თქვენ თქვით: ვერც ერთმა პარტიამ მარტომ ვერ დააკომპლექტოს მთავრობა – სწორედ აქედან გამომდინარე, რამდენად მაღალია ალბათობა, კანონპროექტი ისევ ჩავარდეს?

– მით უფრო, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, დიდი მოთამაშეებისთვის ელექტორალური საჭადრაკო დაფა უკვე განაწილებულია. ამიტომ, არსებული საარჩევნო სისტემა მათთვის მიმზიდველია. ამდენად, რა თქმა უნდა, ცდუნებაც და პოლიტიკური თამაშების დღის წესრიგიც სწორედ იქითკენ არის მიმართული, რომ რამე მიზეზი ნახონ და გვითხრან: „მხარს არ დავუჭერთ“! ან „თქვენ გარეშე მივიღებთ“! ეს რიტორიკა აბსოლუტურად ხდის ყველაფერს ნათელს. ყველას თანაბრად ექნება პასუხისმგებლობა – ოპოზიციასაც და ხელისუფლებასაც, თუკი ეს პროცესი ჩავარდება.

– რაც შეეხება ოპოზიციის განცხადებას ჩრდილოვან კაბინეტთან, პრემიერმინისტრობის კანდიდატთან დაკავშირებით, რასაც უკვე მოჰყვა არაერთგვაროვანი შეფასებები, თუნდაც ექსპერტების მიერ, ჯერ ადრეა და ა.შ., რომ გარკვეულ საფრთხეებს შეიცავს ეს ყველაფერი. რამდენად მნიშვნელოვანია ამომრჩევლისთვის ეს ინფორმაცია?

– ყველა განვითარებულ დემოკარტიაში, სადაც პარტიული სისტემაც დემოკრატიულია, სწორედ ასე წარიმართება მთელი წინასაარჩევნო პროცესი. რატომ? მე, ამომრჩეველი, რომელიც ჩემს მანდატს ვანდობ ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიას, ძალას, უნდა ვიცოდე, კონკრეტულად ვინ არის ის პირი, რომელიც იქნება პასუხისმგებელი ამ თუ იმ სფეროზე. ყველა პოლიტიკურმა ძალამ, რომელიც არჩევნებში იღებს მონაწილეობას, უნდა დაასახელოს ჩრდილოვანი კაბინეტი. არა მხოლოდ პრემიერობის კანდიდატი, არამედ პარლამენტის თავმჯდომარის კანდიდატიც, მინისტრობის კანდიდატები, ყველა საკვანძო ფიგურა. ეს გარკვეულწილად ამომრჩევლისადმი პატივისცემასაც გამოხატავს და ამომრჩეველიც უფრო ინფორმირებულ, რაციონალურ არჩევანს აკეთებს. ეს პროცესი სიურპრიზებისგანაც გვაზღვევს.

მე მესმის, რომ ეს საუბრები არა მხოლოდ ფართო საზოგადოებაში, არამედ პროფესიულ წრეებშიც, პოლიტიკოსებშიც კი აღქმულია, როგორც სკამების წინასწარ განაწილება. სწორედ ამას ვუყურებთ ბოლო დღეებში. არა, ბატონებო, ეს ასე არ არის! პირიქით, ეს არსებითად შეცვლის საარჩევნო გარემოს და უფრო კონკურენტუნარიანს გახდის მას.

– თუმცა, ჩვენი პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით, ხომ არ იქნება ეს ერთგვარი საფრთხე თუნდაც პარტიის შიგნით?

– რა თქმა უნდა! ახლა, სწორედ ამას ვადევნებთ თვალ-ყურს. სწორედ ეს ვიგულისხმე, როდესაც პოლიტიკოსებზე მოგახსენეთ, რომელთაც ეს სკამების წინასწარ განაწილება ჰგონიათ, მაგრამ ეს არ არის სწორი აღქმა, სწორი მიდგომა. ქართულ პოლიტიკაში ეს სტიგმატიზებული თემაა, ამიტომ ეს მიდგომა უნდა დავამსხვრიოთ.

– ოპოზიციის ერთიანობას შეიძლება სწორედ ამან შეუქმნას საფრთხე.

– მათ შევახსენებ, დასავლეთში პრაიმერით ავლენენ კანდიდატებს. ბევრჯერ ყოფილა მათი მხრიდან დაპირება, რომ პრაიმერიით გამოავლენდნენ, მაგრამ სად არის ეს დაპირება?!

– ოპოზიციას კანდიდატების პრაიმერით გამოვლენას ურჩევთ?

– დიახ, პრაიმერი არის ერთ-ერთი დემოკრატიული მექანიზმი. მათ ხალხთან კომუნიკაციისთვის უნდა გამოიყენონ ყველა დემოკრატიული მექანიზმი და არა ერთმანეთთან კულისებს მიღმა გარიგებისთვის. მანდატს ამომრჩეველი იძლევა. ამიტომ, ამომრჩეველთან აქვთ მოსალაპარაკებელი და არა კულუარებში ერთმანეთთან. სამწუხაროდ, ამას ყველა ხელისუფლება 30 წლის განმავლობაში, ივიწყებდა. ეს მიდგომა კი საბედისწერო აღმოჩნდა ყველა ხელისუფლებისთვის.

დაუშვებს თუ არა ხელისუფლება საქართველოს საჰაერო სივრცეში რუსეთის ფრენებს?

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.

– ბატონო ვახტანგ, ამერიკამ დატოვა ე.წ. „ღია ცის“ ხელშეკრულება რუსეთის მიერ ამ შეთანხმების დარღვევის გამო, მათ შორის, ეს უკავშირდება ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიაზე სადამკვირვებლო ფრენების არ დაშვებას. რას ითვალისწინებს „ღია ცის“ ხელშეკრულება, საერთოდ, და რა პრობლემებთან გვაქვს საქმე?

– „ღია ცის“ ხელშეკრულება 1992 წელს გაფორმდა. 2002 წლიდან კი მისი ამოქმედება დაიწყო, 35-მა ქვეყანამ მოახდინა ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია და შეთანხმება ძალაში შევიდა. ხელშეკრულებას საქართველოც შეუერთდა.

– ეს ხელშეკრულება, როგორც ჩანს, ხელმომწერი ქვეყნების ტერიტორიაზე სადამკვირვებლო ფრენების დაშვებას ითვალისწინებს, რაც უთანხმოების მიზეზი გახდა.

– დიახ, შეთანხმება სადაზვერვო-სადამკვირვებლო ფრენების განხორციელებას ითვალისწინებს. ეს უკავშირდება ორ საკითხს – სახმელეთო ძალების ძირითადი რაოდენობის დადგენას და სტრატეგიული ობიექტების გამოვლენას, რომელიც უკავშირდება სამხედრო-სახმელეთო ძალებს, ანუ საბრძოლო ტექნიკა, შეიარაღება, ლოჯისტიკა, ყველაფერი ამას უკავშირდება.

ეს შეთანხმება პირდაპირ არა, მაგრამ ირიბად უკავშირდებოდა პარიზის ჩვეულებრივი შეიარაღების ხელშეკრულების შემცირებას და მისი ერთგვარი დანამატი იყო, ანუ ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც მოხდებოდა პარიზის ჩვეულებრივი შეიარაღების ხელშეკრულების მონიტორინგი. თუმცა, პირდაპირ პარიზის ხელშეკრულებაზე მიბმული არ არის, მაგრამ დამატებითი ინსტრუმენტი გახლდათ და განიხილებოდა დამოუკიდებლად, თუმცა მასთან იყო ბმაში.

– სააკაშვილის დროს ეს ხელშეკრულება ჩვეულებრივად მოქმედებდა?

– დიახ. ჩვენს თავდაცვის სამინისტროში შესაბამისი სტრუქტურაც იყო შექმნილი, რომელიც „ღია ცის“ ფრენების ფარგლებში ამ მიმართულებით მუშაობდა. ფრენების დროს მონიტორიგს ახორციელებდა.

– საქართველოს ცა რუსეთისთვის 2012 წელს დაიხურა. ახლა ამერიკა გადის ამ ხელშეკრულებიდან.

– ამერიკა ხელშეკრულებიდან ოფიციალურად უკვე გავიდა. ტრამპმა დოკუმენტს ხელი მოაწერა, უარი თქვა ხელშეკრულებაში მონაწილეობაზე. ტრამპმა ხელშეკრულებიდან გასვლის მიზეზად სამი პრობლემური საკითხი დაასახელა, თუ რატომ ტოვებს აშშ ამ ხელშეკრულებას. ამ სამიდან ერთ-ერთი საქართველოა.

– ერთი საქართველოს ოკუპირებულ ცხინვალისა და აფხაზეთის ტერიტორიებზე ამერიკის სადამკვირვებლო ფრენების არ დაშვებას ეხება. დანარჩენი ორი პრობლემა რა არის?

– რუსეთმა შეზღუდა კალინინგრადის მხარეში გადაფრენების რადიუსი, მხოლოდ 500 კილომეტრზე მისცა საშუალება კალილინგრადის შეზღუდული რაიონების მონიტორინგი განეხორციელებინათ. ფაქტობრივად, რუსეთმა უარი განაცხადა, კალინინგრადის თავზე გადაღებებისა და მონიტორინგის განხორციელებაზე.

– ამერიკას რომ გადაეღო?

– დიახ, ამერიკას და ნატოს წევრ სახელმწიფოებს კალინინგრადის თავზე გადაღებები რომ ეწარმოებინათ. გადაღებები ამერიკული და რუსული სამხედრო თვითმფრინავებით ხორციელდებოდა. ბელორუსი და რუსეთი ერთად გამოდიოდნენ. პირველი შემთხვევაა, როდესაც ბელორუსი და რუსეთი ხელშეკრულების ფორმატში ერთიან აქტორებად გამოდიან.

– ამჟამადაც ასეა?

– დიახ, რუსეთმა და ბელორუსმა, ჯერჯერობით, არ თქვეს უარი ამ ხელშეკრულებაზე. მესამე მიზეზი ისაა, რომ რუსეთმა სადაზვერვო თვითმფრინავების ბაზირების ადგილად მონიშნა ყირიმის ნახევარკუნძული, რომელიც ამჟამად მისი იურისდიქციის ქვეშაა. ეს ამერიკისთვის მიუღებელია, რადგან ამერიკელები ვერ განახორციელებენ იგივე თუნდაც თვითმფრინავების აუზების შევსებას ყირიმის სამხედრო თვითმფრინავებზე.

ყირიმი არის ოკუპირებული და ანექსირებული რუსეთის მიერ. აქედან გამომდინარე, თუ ამერიკული თვითმფრინავები ყირიმის სამხედრო აეროდრომებზე დასხდებოდნენ, გამოვიდოდა, რომ ამერიკა და დასავლეთის სახელმწიფოები ცნობდნენ ყირიმში რუსეთის უკანონო ქმედებას, ანუ ანექსიას. რუსეთმა აკრძალა ასევე ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის თავზე ფრენების განხორციელება. ესეც საინტერესო ფაქტია.

– რუსეთის საგარეო უწყების განცხადება გავრცელდა, სადაც ნათქვამი იყო, რომ რუსეთი მზად არის „ღია ცის“ შეთანხმების ფარგლებში სადამკვირვებლო მისია დაუშვას საზღვრის გასწვრივ 10 კილომეტრიან ზონებში, თუ საქართველო უფლებას მოგვცემს, მის ტერიტორიაზე ვიფრინოთო. ეს როგორი განცხადებაა?

– ეს აბსოლუტურად პროვოკაციული განცხადებაა. 10 კილომეტრი არაფერია. 10 კილომეტრი ცხინვალის რეგიონზე არაფერია. იქ არავითარი სამხედრო, არც – ლოჯისტიკური, არც – სტრატეგიული ბაზები განთავსებული არ არის. არც ინფრასტრუქტურაა განვითარებული. რუსეთი იქ კრძალავს ფრენების განხორციელებას, სადაც მისი ბაზებია განლაგებული. დიდი ეჭვია, რომ ამ ბაზებში რუსეთს აქვს სტრატეგიული შეიარაღება, რომლის დაფიქსირება არ სურს. მათ აფხაზეთი და ცხინვალი გამოიყენეს, როგორც თეთრი ლაქების ტერიტორიები.

– რა სტრატეგიული შეიარაღება შეიძლება განეთავსებინა რუსეთს აფხაზეთში?

– ზებგერითი ფრთოსანი რაკეტა. ეს არის ჰაერი-ხმელეთის ტიპის ზებგერითი ფრთოსანი რაკეტები, რომელიც, როგორც ჩანს, რუსეთმა გუდაუთის ბაზაზე განათავსა. ამ რაკეტის მატარებელია მიგ-31. ეს არის მეოთხე თაობის ავიაგადამჭერები, რომლებსაც შეუძლიათ ზებგერითი ფრთოსანი რაკეტების გადატანა.

არ არის გამორიცხული, რუსებმა აფხაზეთში დამალონ სტრატეგიული უპილოტო დამრტყმელი საფრენი აპარატები, რომელსაც შეუძლია ტაქტიკური, ბირთვული ქობინებისა და სხვა ტიპის შეიარაღების გადატანა.

შეიძლება ოჩამჩირის აკვატორიაში დამალონ დიზელის ბორეის ტიპის წყალქვეშა ნავები, რომლებიც შავი ზღვის ფლოტმა უკვე მიიღო შეიარაღებაში. 8 წყალქვეშა ნავია მიღებული შეიარაღებაში. შეიძლება, რუსეთმა წყალქვეშა ნავები სწორედ ოჩამჩირის აკვატორიაში დამალოს და არ მისცეს საშუალება ამერიკისა და ნატოს წევრ სახელმწიფოებს, ისინი დააფიქსირონ. ცხინვალში რა ტიპის შეიარაღება შეიძლება გადამალონ, არ ვიცი.

– როდესაც რუსეთის შეთავაზება მოვისმინე, საქართველოს საჰაერო სივრცეში ფრენების სანაცვლოდ 10 კილომეტრიან ზონაში სადამკვირვებლო მისიის დაშვების თაობაზე, გამახსენდა ფსოუსა და როკზე საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დაშვებაზე თანხმობა.

– არა, დაკვირვება ჰაერიდან ხდება, სადაზვერვო თვითმფრინავები ჰაერიდან აფიქსირებენ ობიექტებს, ტრაექტორიის მიხედვით სივრცეს ზვერავენ. ფიზიკურად საერთაშორისო დამკვირვებლების შეშვება არ ხდება.

– ჩვენს ოკუპირებულ საზღვრებზე დამკვირვებლების დაშვება, რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლაზე საქართველოს თანხმობის სანაცვლოდ უნდა მომხდარიყო.

– სააკაშვილმა რუსეთს არა მარტო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე მისცა თანხმობა, არამედ სამხედრო ტვირთების გატარებაზეც.

– ჩვენმა საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებენ საქართველოს საჰაერო სივრცეში რუსეთის ფრენებს. მოსკოვი საქართველოს პოზიციას დესტრუქციულს უწოდებს.

– პირიქით, რუსეთმა აკრძალა ჩვენს (ოკუპირებულ) ტერიტორიაზე სადაზვერვო ფრენების განხორციელება. საქართველომ გამოთქვა პროტესტი, რუსეთი რატომ კრძალავს ჩვენს ტერიტორიაზე (რომელიც იურიდიულად ჩვენს სივრცეშია) სადამკვირვებლო ფრენების განხორციელებასო. ამიტომ საქართველოს მხარემ საპასუხო ნაბიჯი გადადგა და რუსეთს აუკრძალა საქართველოს საჰაერო სივრცეში მსგავსი მონიტორინგის განხორციელება.

– ეს იყო 2012 წელს.

– დიახ. სამწუხაროდ, რუსეთი კვლავ დესტრუქციულად იქცევა და ამერიკელებს სადამკვირვებლო ფრენების საშუალებას არ აძლევს. ამიტომ ამერიკელებმაც გამოხატეს პროტესტი და გავიდნენ ამ ხელშეკრულებიდან.

ეს იქნება მორიგი რუსეთ-ამერიკის დაპირისპირება. ამან შეიძლება გავლენა იქონიოს სტრატეგიული შეიარაღების ხელშეკრულებაზე. ეს მესამე შეთანხმებაა, რომელსაც რუსული და ამერიკული მხარეები არღვევენ და არ თანამშრომლობენ.

პაატა სალიას პირადი ცხოვრების ჩანაწერების გასაჯაროებით ემუქრებიან

დავით ზეიკიძე: „სალია ტელეფონში მაგინებდა“

პაატა სალიას პირადი ჩანაწერების გასაჯაროებით ემუქრებიან.

„ლიდერფუდის“ დამფუძნებლის ირაკლი დუმბაძის განცხადებით, მის ადვოკატს, პაატა სალიას, დავით ზეიკიძე პირადი ჩანაწერების გასაჯაროებით დაემუქრა.

– მან სასამართლოების წაგების შემდეგ საბოლოოდ დაკარგა სახე და ამჯერად, უკვე თავისი ბინძური, ცილისმწამებლური მეთოდებით, ცდილობს, გავლენა მოახდინოს უზენაეს სასამართლოზე.

ისიც კი იკადრა, რომ მისივე ვაჟის რეკომენდაციით დანიშნული ბუღალტრის მიერ კომპანიის ქონების მითვისების ფაქტი ჩემ სახელს დაუკავშირა, მაშინ როდესაც, ამ უკანასკნელმა თანხა მას შემდეგ მიითვისა, რაც მე ლიდერფუდში უკვე აღარ ვმუშაობდი.

თუმცა მისგან გასაკვირი არაფერია, რადგან ესაა ადამიანი, რომელიც უშუალოდ სასამართლოს დარბაზშიც არ ერიდება დანაშაულის ჩადენას.

ის ჩემს ადვოკატს, პაატა სალიას, პირადი ჩანაწერების გასაჯაროებით დაემუქრა, რაზეც თბილისის პროკურატურაში მიმდინარეობს საქმის შესწავლა.

დავით ზეიკიძის და მისი ადვოკატის არჩილ კბილაშვილის მიერ გავრცელებული ცილისწამება, ეს არის ჩემი დისკრედიტაციის და უზენაეს სასამართლოში განსახილველ საქმეზე ზემოქმედების მოხდენის იაფფასიანი მცდელობა.

ეს პროცესი ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის ადამიანურად ძალიან მძიმეა, თუმცა ვიმედოვნებთ, რომ მათ ამ აბსურდს სათანადო სამართლებრივი შეფასება მიეცემა, რასთან დაკავშირებითაც უკვე მზადდება შესაბამისი საჩივრები ჩემი ადვოკატების მიერ, – აცხადებს ირაკლი დუმბაძე. თავად დავით ზეიკიძეს ამ საკითხზე სხვა პოზიცია აქვს.

– როგორ გეკადრებათ, არავითარი პირადი საუბრები არ არის. მე თავდაპირველად მყავდა ადვოკატი გიორგი ყავლაშვილი. მან შეიტანა სარჩელი სასამართლოში. ამის დამადასტურებელი იმეილ მიმოწერაც მაქვს და სარჩელიც ყავლაშვილის სახელით შევიდა. მეორე დღეს ჩემი და ჩემი უსაფრთხოების სამსახურის უფროსის თანდასწრებით გიორგი ყავლაშვილმა დაურეკა სალიას. მე გვერდით ვეჯექი და მესმოდა, როგორ მაგინებდა სალია, ეუბნებოდა ყავლაშვილს, ჩამოშორებოდა ამ საქმეს.

ყავლაშვილი მართლაც ჩამეხსნა და რაღაც გაურკვეველი მიზეზების გამო თქვა, რომ ვერ იქნებოდა ჩემი ადვოკატი. სწორედ ამ ფაქტს ვგულისხმობდი იმ სატელეფონო საუბრებზე, რასაც ჩემი სიძე პრესკონფერენციაზე ახსენებდა, – განაცხადა დავით ზეიკიძემ.

თბილისის საქალაქო სასამართლო: „ადვოკატ არჩილ კბილაშვილის განცხადება ცილისმწამებლურია“

თბილისის საქალაქო სასამართლო ადვოკატ არჩილ კბილაშვილის განცხადებას ეხმაურება, რომელიც შპს „ლიდერფუდის“ საქმეს ეხება და აღნიშნავს, რომ კბილაშვილის განცხადება საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ისახავს მიზნად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თბილისის საქალაქო სასამართლო განცხადებას ავრცელებს.

„თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 2019 წლის 17 ივნისს, მოპასუხის მიერ წერილობითი შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიიღო და მოსარჩელე ირაკლი დუმბაძის სარჩელი დააკმაყოფილა. გადაწყვეტილების თანახმად, შეწყდა სიძე-სიმამრს შორის დადებული შპს „ლიდერი-ფუდის“ კაპიტალის 50% წილის ნასყიდობის ხელშეკრულება და მოსარჩელე აღირიცხა ამავე კომპანიის კაპიტალის 50% წილის მესაკუთრედ.

არჩილ კბილაშვილის მიერ გაკეთებული განცხადება, თითქოს, საქმეში არ არსებობს არც ერთი მტკიცებულება, რომელიც სარჩელის დავით ზეიკიძისათვის ჩაბარებას დაადასტურებდა, სიმართლეს არ შეესაბამება და არის სიცრუე.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დადგინა შემდეგი: 2019 წლის 22 მაისს, შპს „სკს“-ს კურიერმა მოსარჩელის მიერ გაგზავნილი დოკუმენტები კონვერტით ჩააბარა დავით ზეიკიძის სამუშაო ადგილის მიხედვით უფლებამოსილ პირს, რაც სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვისას დაადასტურა როგორც თავად კურიერმა, ასევე ოფის-მენეჯერმა. გზავნილის ჩაბარების ფაქტი დასტურდება შპს „სკს“-ს ინფორმაციითაც.

აღსანიშნავია ისიც, რომ მოგვიანებით, დავით ზეიკიძემ შეცვალა პოზიცია და აღიარა, რომ მას ჩაბარდა გზავნილი, თუმცა, გზავნილი არ იყო სასამართლოს კონვერტი სარჩელით და თანდართული დოკუმენტებით. რა კონვერტი ჩაბარდა, მოპასუხემ ვერ წარმოადგინა და მიუთითა, რომ ის არ შეინახა და დაცვის უფროსმა გადააგდო.

აქვე აღვნიშნავთ, რომ 2019 წლის 21 მაისს მოპასუხის წარმომადგენლის მიერ სასამართლოსადმი მომართული განცხადებით დასტურდება, რომ დავით ზეიკიძისათვის ცნობილი იყო ირაკლი დუმბაძის მიერ მის მიმართ აღძრულ სარჩელთან დაკავშირებით, იცოდა დავის არსი, საქმის ნომერი, ჩაბარებული ჰქონდა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება, რომელზეც მომართა ფორმალური საჩივრით და მიუთითა, რომ სასამართლოს მომართავდა დამატებით და წარმოადგენდა მტკიცებულებებს, თუმცა შემდეგ არც დამატებით წარმოუდგენია რაიმე.

ამდენად, მიგვაჩნია, რომ ადვოკატ არჩილ კბილაშვილის მიერ მედიასთან გაკეთებული განცხადება არის აშკარად დაუსაბუთებელი, ცილისმწამებლური და შეურაცხმყოფელი, რომელიც შეიცავს ცრუ ინფორმაციას და, შესაბამისად, მიზნად ისახავს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას.

ამ საქმის განხილვა მიმდინარეობს უზენაეს სასამართლოში. შესაბამისად, სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მოვუწოდებთ ადვოკატსა და სხვა დაინტერესებულ პირებს, თავი შეიკავონ ისეთი განცხადებების გაკეთებისაგან, რომელიც ისედაც სადავოა მხარეების მიერ და იხილება სასამართლოში“ – ნათქვამია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

შსს-მ ქუთაისში პოლიციელების მიმართ განხორციელებული ბრალდებით ერთი პირი დააკავა



შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1999 წელს დაბადებული, ქურდობისთვის ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი და წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი მ.ჯ. დააკავეს. მას ბრალი ედება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის მიზნით პოლიციელების მიმართ განხორციელებულ ძალადობასა და წინააღმდეგობის გაწევაში.

დანაშაული 2-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 18 მაისს, ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლები, საგანგებო რეჟიმის აღსრულების მიზნით, კომენდანტის საათის დროს შემოვლას ახორციელებდნენ, რა დროსაც მათ ნიკეას ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსთან, ამავე კორპუსში მცხოვრები მ.ჯ. შენიშნეს, რომელიც კომენდანტის საათს არღვევდა. პოლიციის თანამშრომლებმა იგი გააფრთხილეს და წესრიგის დაცვისკენ მოუწოდეს, რასაც სამართალდამრღვევი მოქალაქე არ დაემორჩილა და სამართალდამცველებს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ინციდენტში ჩაერთნენ მ.ჯ.-ს ოჯახის წევრები და მეზობლები, რომელთა დახმარებით ბრალდებულმა მიმალვა მოახერხა.

მომხდარი ინციდენტის შედეგად, პოლიციელებმა სხეულზე სხვადასხვა სახის დაზიანებები მიიღეს. მათ შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწიათ.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბრალდებული ქუთაისში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, რაც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის მიზნით პოლიციელის მიმართ განხორციელებულ ძალადობასა და წინააღმდეგობის გაწევას გულისხმობს.

თორაძეების საქმეზე საქართველომ აშშ-ს დახმარება სთხოვა

თორაძეების ოჯახის მკვლელობის საქმეზე საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამის ორგანოებს სამართლებრივი დახმარებისთვის მიმართა.

– თამარ თორაძე, რომელმაც ძმები თორაძეების მკვლელობის საქმეზე გამოძიების მოთხოვნით საქართველოს პროკურატურას მიმართა, ამერიკის მოქალაქეა. ამის გათვალისწინებით, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამის ორგანოებს სამართლებრივი დახმარებისთვის მიმართა, – განუცხადეს გენერალურ პროკურატურაში „ინტერპრესნიუსს“, რითაც 28 წლის წინ მომხდარი მკვლელობის საქმის დეტალებთან დაკავშირებულ კითხვას უპასუხეს.

თორაძეების ოჯახის ტრაგედია 1992 წელს მოხდა. არსებული ინფორმაციით, თორაძეები „მხედრიონს“ დაუპირისპირდნენ. 1992 წლის თებერვალში ძმებ თორაძეებს ლაშას, კახასა და იმედოს, ასევე მათ მეგობარს, „მხედრიონმა“ ნუცუბიძის პლატოზე ცეცხლი გაუხსნა. 3 მარტს, ზაურ თორაძე, იზო ქურხულ-თორაძე და დაჭრილი ლაშა თორაძე ვერის სასაფლაოსთან ჩაცხრილეს. მას შემდეგ, ძმები ზაზა და პაატა თორაძეები უგზო-უკვლოდ დაკარგულებად ითვლებიან. მკვლელობას სხვებთან ერთად შეესწრო თორაძეების მცირეწლოვანი და თამარ თორაძე, რომელიც ამჟამად შეერთებულ შტატებში ცხოვრობს.

აღნიშნული საქმე ამ დრომდე გამოძიებული არ არის.

26 წლის მამაკაცმა ბათუმში დის ყოფილი ქმარი დაჭრა

ბათუმში 1994 წელს დაბადებული რ.ი. განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ბათუმში, ღამის საათებში, ურთიერთშელაპარაკებისას, დის ყოფილ მეუღლეს – 1994 წელს დაბადებულ მ.ვ.-ს, ცივი იარაღის გამოყენებით სხეულზე ჭრილობები მიაყენა.

დაჭრილი სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა.

საქმე მკვლელობის მცდელობის ბრალდებით აღიძრა, რაც თავისუფლების 7-დან 15 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს.

დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს.

მათი ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული, 1997 წლით დათარიღებული ყალბი მიღება-ჩაბარების აქტის გამოყენებით, მოტყუებით დაეუფლა ქ.თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში მდებარე 157 729 ლარის ღირებულების 1 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთს.

„აღნიშნული მიწის ნაკვეთი საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დაყადაღდა. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით“ – აღნიშნულია ინფორმაციაში.

ბათუმში თურქეთის 9 მოქალაქე დააკავეს

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ბათუმში, თურქეთის მოქალაქეები დააკავეს.

როგორც უწყების ინფორმაციაშია აღნიშნული, დაკავებული პირების საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას ოთხი ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს.

„გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად საქართველოში არალეგალურად მყოფი თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეების გამოვლენისა და დაკავების მიზნით, ქ. ბათუმში ღონისძიება ერთდროულად ორ მისამართზე დაიგეგმა. ღონისძიების შედეგად დაკავებულია თურქეთის რესპუბლიკის 9 მოქალაქე, რომელთაც არ უფიქსირდებათ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთა და არალეგალურად იმყოფებიან ქვეყანაში. საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას ამოღებულ იქნა ოთხი ცეცხლსასროლი იარაღი. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლის პირველი ნაწილით და 236-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთას და ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენას, შენახვას, ტარებას, დამზადებას, გადაზიდვას, გადაგზავნას ან გასაღებას გულისხმობს.

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტი აწარმოებს“ – ნათქვამია სუსის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ახალციხეში პოლიციელი ბორდიურს შეეჯახა და დაიღუპა

ახალციხეში, სოფელ წნისში ავტოსაგზაო შემთხვევას შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი ემსხვერპლა

ავარია 1 ივნისს ღამე მოხდა. ა.ბ. საკუთარი მანქანით, სოფელ წნისში ბეტონის ბორდიურს შეეჯახა.

ადგილობრივების ინფორმაციით, შსს-ს თანამშრომელი ადგილზე გარდაიცვალა.

შსს-მ გამოძიება 276 მუხლის მე-6 ნაწილით დაიწყო, რაც სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

უწყებაში აცხადებენ, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის დროს ა.ბ. სამსახურებრივ მოვალეობას არ ასრულებდა. გარდაცვლილი სოფელ მუგარეთიდან არის.

კუომო ტრამპის წინააღმდეგ

„პრეზიდენტს რეალობის გადაკეთება სურს“



არა მადლობა ტრამპს, – ამ სიტყვებით ნიუ-იორკის გუბერნატორი ენდრიუ კუომო აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის განცხადებას გამოეხმაურა იმის შესახებ, რომ ქვეყანაში მიმდინარე საპროტესტო აქციების ჩასახშობად სამხედროების მობილიზებას განახორციელებს.

– პრეზიდენტს რეალობის გადაკეთება სურს. ისინი მშვიდობიანი დემონსტრანტები არიან, რომლებიც შეურაცხყოფილები არიან იმით, რაც ფლოიდის მკვლელობასთან დაკავშირებით ნახეს, – განაცხადა კუომომ.

მისივე თქმით, მომიტინგეებს შორის არიან „დესტრუქციული“ პირებიც, თუმცა მათი რაოდენობა მცირეა.

– ძარცვა და დანაშაულებრივი ქმედება შეუწყნარებელია, თუმცა აქციის მონაწილეებს შორის ძალიან ცოტა ასეთი ადამიანი ურევია. ის, რაც პრეზიდენტმა გააკეთა, არის ამერიკელი სამხედროების ამერიკის მოქალაქეების წინააღმდეგ მოქმედებისკენ მოწოდება, – განაცხადა ნიუ-იორკის მერმა.

შეგახსენებთ, აფროამერიკელი ჯორჯ ფლოიდის გარდაცვალებას აშშ-ში მასობრივი საპროტესტო აქციები მოჰყვა. ქვეყნის 75-ზე მეტ ქალაქში შეკრებილი დემონსტრანტები ფლოიდის დაკავებისას პოლიციის მიერ ძალის გადამეტებას აპროტესტებენ და ინციდენტში ჩართული ოთხივე პოლიციელის მიმართ მკვლელობის მუხლით ბრალის წაყენებას მოითხოვენ. თუმცა, ზოგჯერ აქციები ძალადობრივ სახეს იღებს და პოლიციასთან შეტაკებებში გადადის. დემონსტრანტების ნაწილი არბევს შენობებს, წვავს პოლიციის მანქანებს და ძარცვავს მაღაზიებს.

ჯოზეფ ბორელი: „ჯორჯ ფლოიდის სიკვდილი ძალის გადამეტების შედეგია“

საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ჯოზეფ ბორელის განცხადებით, აფროამერიკელი ჯორჯ ფლოიდის სიკვდილი ძალის გამოყენების გადამეტების შედეგია, რომელიც ყველამ უნდა დაგმოს.

– ჩვენ აქ, ევროპაში, ისევე, როგორც შეერთებული შტატების მოსახლეობა, შოკირებული და შეშფოთებული ვართ ჯორჯ ფლოიდის გარდაცვალებით, ვფიქრობ, საზოგადოებებმა ძალის გადამეტებით გამოყენების ფაქტების მიმართ სიფხიზლე უნდა შეინარჩუნონ და ყველა ასეთი ინციდენტი სწრაფად, ეფექტურად და კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების სრული დაცვით უნდა აღმოიფხვრას, – განაცხადა ბორელმა.

მისივე თქმით, საზოგადოებებში, რომლებიც კანონის უზენაესობასა და დემოკრატიაზე არიან დაფუძნებული, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ადამიანებმა, რომლებიც წესრიგის უზრუნველყოფაზე არიან პასუხისმგებელი, თავიანთი ძალაუფლება ისე არ გამოიყენონ, როგორც ეს ჯორჯ ფლოიდის „ძალიან, ძალიან სამწუხარო გარდაცვალების“ შემთხვევაში მოხდა.

– ჩვენ მხარს ვუჭერთ პროტესტის მშვიდობიან გამოხატვას და ვგმობთ ნებისმიერი სახის ძალადობასა და რასიზმს, ყველას დაძაბულობის დეესკალაციისკენ მოვუწოდებთ, – განაცხადა ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა.

ესპანეთში ბოლო 24 საათში კოვიდ 19-გან არც ერთი ადამიანი არ გარდაცვლილა



ესპანეთში პირველად ბოლო 2 თვის მანძილზე, ბოლო 24 საათში, კოვიდ 19-გან არც ერთი ადამიანი არ გარდაცვლილა.

ქვეყნის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურის უფროსმა ფერნანდო სიმონმა განაცხადა, რომ ეს ძალიან გამამხნევებელი ინფორმაციაა.

მისივე თქმით, ბოლო 24 საათში ესპანეთში ახალი ინფიცირების მხოლოდ 71 შემთხვევა დაფიქსირდა.

– ჩვენ პანდემიის განვითარების თვალსაზრისით ამჟამად ძალიან კარგ პოზიციაზე ვართ, – დასძინა ფერნანდო სიმონმა.

ესპანეთში გრძელდება ლოკდაუნის შერბილების პოლიტიკა.

ვირუსისგან გარდაცვალების პირველი შემთხვევა ესპანეთში 3 მარტს დაფიქსირდა, ხოლო 1 თვის მერე, 2 აპრილს, ამ მაჩვენებელმა რეკორდულ 950-ს მიაღწია 1 დღე-ღამეში.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

იოგი, რომელიც 70 წელი საკვებსა და წყალზე უარს ამბობდა, 90 წლის ასაკში გარდაიცვალა



ინდოეთში 90 წლის იოგი პრახლად ჯანი გარდაიცვალა, რომელიც იმით იყო ცნობილი, რომ თითქოსდა 70 წელზე მეტი ხნის განმავლობაში არც ჭამდა და არც სვამდა.

განდეგილის ზუსტი ასაკი უცნობია, თუმცა ის თავად ამტკიცებდა, რომ 1929 წლის აგვისტოში იყო დაბადებული. ჯანი ირწმუნებოდა, რომ ბავშვობაში ის ქალღმერთმა დალოცა და ამის წყალობით მას საკვების და წყლის მიღების გარეშე შეუძლია იცოცხლოს. 2003 წელს მან ჟურნალისტებს უთხრა, რომ ზეცაში აქვს სიცოცხლის ელექსირი, რომელიც მას საკვების და სითხის მიღების გარეშე სიცოცხლის საშუალებას აძლევს.

სხვადასხვა მონაცემების თანახმად, ჯანი საკვებს და წყალს 8-9 ან 14 წლის ასაკიდან აღარ იღებდა. ის საკულტო ფიგურად იქცა, ქალღმერთ ამბა-მატას ტაძრის მახლობლად გამოქვაბულში ცხოვრობდა და იქ ათასობით მომლოცველს იღებდა.

ექიმებს და მეცნიერებს არა ერთხელ დაუყენებიათ ეჭვქვეშიმისი მტკიცებები. 2003 წელს ჯანი ქალაქ ახმადაბადის საავადმყოფოში მოათავსეს. იოგმა 10 დღე დაჰყო ჩაკეტილ ოთახში, ის არ სვამდა, არ ჭამდა და კუჭშიც არ გადიოდა. თუმცა მეცნიერების დაკვირვების თანახმად, მის საშარდე ბუშტში სითხე დაგროვდა, რომელიც შემდეგ თითქოსდა გაიწოვა. განდეგილს მხოლოდ პირში წყლის გამოვლების უფლებას აძლევდნენ, შემდეგ კი ამოწმებდნენ, თუ რა რაოდენობის წყალი გადმოაფურთხა უკან, იმაში დასარწმუნებლად, რომ არ დაულევია.

2010 წელს ექსპერიმენტი გაიმეორეს. ამჯერად ჟანის ორი კვირის მანძილზე აკვირდებოდნენ. მის პალატაში სათვალთვალო კამერები იყო განთავსებული. მას დაბანვის, პირში წყლის გამოვლების და მზის აბაზანების მიღების უფლებას აძლევდნენ. მეცნიერებმა ისევ ვერ შეძლეს იმის ახსნა, თუ როგორ ახერხებდა არსებობის გაგრძელებას.

ჯანი 26 მაისს ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა. მისი ცხედარი ორი დღით მის მიერ აგებულ აშრამში მოათავსეს, სადაც მის თაყვანისმცემლებს მასთან გამომშვიდობების საშუალება ჰქონდათ. 28 მაისს კი მის ცხედარს კრემაცია ჩაუტარდა.

კორონავირუსთან ბრძოლაში დახმარებამ ქალს მოულოდნელი სიმდიდრე მოუტანა



ამერიკის ორეგონის შტატის ქალაქ სისტერსის მკვიდრი ქალი ამტკიცებს, რომ კორონავირუსთან ბრძოლაში დახმარებამ მას მოულოდნელად სიმდიდრე მოუტანა.

ლორა ჰიუიტი რესტორანში მუშაობდა და სამსახური კორონავირუსის პანდემიის შედეგად შემოღებული კარანტინის გამო დაკარგა. ის ნახევარგანაკვეთზე მოეწყო სამუშაოდ პროდუქტების მაღაზიაში. თავისუფალ დროს კი კორონავირუსისგან დამცავ სამედიცინო ნიღბებს კერავდა კოლეგებისთვის.

– კოლეგებს ისინი ისე მოსწონდათ, რომ მის შეკერვაში ფულს მიხდიდნენ, – ყვება ჰიუიტი, – მალე ნიღბების დეფიციტის გამო, უფროსმა ჩემი დამზადებულების შესყიდვა დაიწყო.

აღებული ფულით ქალი ლატარიის კენო 8 სპორტის ბილეთებს ყიდულობდა.

– ლატარიის თავგადაკლული მოყვარული არ ვარ, მაგრამ ვიფიქრე, რომ შეიძლება მომეგო, ვინაიდან ეს ფული სხვისი დახმარების სანაცვლოდ მქონდა მიღებული, – აღიარა ქალმა.

საბოლოო ჯამში, ერთ-ერთმა ბილეთმა ჰიუიტს 126,8 ათასი დოლარის მოგება მოუტანა. ლატარიის გამარჯვებული მოგებული თანხის ნაწილით ნიღბების შესაკერი მასალების შეძენას აპირებს.

– ჩემ ნიღბებზე მოთხოვნაა და ამიტომ მინდა მათი გამოშვება გავაგრძელო, – დაასკვნა იღბლიანმა ქალმა.

ქმარმა მძინარე ცოლი კობრას მოაკვლევინა



ინდოეთში პოლიციამ მამაკაცს კობრას გამოყენებით ცოლის მკვლელობაში დასდო ბრალი. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

პოლიციის მიერ შედგენილი მოხსენების თანახმად, მამაკაცმა, სახელად სურაჯმა, ორჯერ სცადა საკუთარი მეუღლის, სახელად უტერის, მოკვლა. პირველ ჯერზე, 2 მარტს მან ქალს საძინებელში შხამიანი გველგესლა შეუგდო. ამის გამო ქალი თითქმის ორი თვე საავადმყოფოში მკურნალობდა. შემდეგ ქალი მშობლების სახლში გადაიყვანეს. ქმარმა მაისის დასაწყისში თავის 23 წლის მძინარე მეუღლეს საძინებელში კობრა შეუგდო. ამჯერად ქალის გადარჩენა ვეღარ მოხერხდა.

– სურაჯი ოთახში დარჩა და ისე იქცეოდა, თითქოს არაფერი მომხდარა, – ნათქვამია პოლიციის მოხსენებაში, – ის უტრის დედის ყვირილმა გააღვიძა. ქალი მათ საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა იქ მხოლოდ მისი დაღუპვის დაფიქსირება შეძლეს. მოგვიანებით ოთახში კობრა ნახეს და მოკლეს.

უტრის დაღუპვიდან რამდენიმე დღეში ქვრივი შეეცადა, ქალის ქონებას დაუფლებოდა. საწორედ ამის შემდეგ შეეპარათ ეჭვი ქალის შმობლებს, რომ მან მოკლა მეუღლე. გამომძიებლებმა დაადგინეს, რომ სურაჯი გველების მფლობელებს უკავშირდებოდა, ასევე ინტერნეტში ვიდეო ჩანაწერებს სწავლობდა, რომლებზეც ქვეწარმავლების ქცევაზე იყო მოთხრობილი.

აღსანიშნავია, რომ უტერი შეძლებული ოჯახის შვილი იყო, ხოლო მის მეუღლეს, რომელიც კერძო ბანკის თანამშრომელია, ფული სჭირდებოდა.

პოლიციის მონაცემებით, დაქორწინების დროს სურაჯს ასამდე ოქროს მონეტა, ახალი ავტომობილი და ნახევარი მილიონი რუპია აჩუქეს.

– ის შიშობდა, რომ განქორწინების შემთხვევაში მას მზითვის დაბრუნება მოუწევდა და სწორედ ამის გამო გადაწყვიტა ცოლის მოკვლა, – ნათქვამია პოლიციის განცხადებაში.

სურაჯი და ის პიროვნება, რომელიც მას გველებით ამარაგებდა, დაპატიმრებულები არიან, საქმის გამოძიება მიმდინარეობს.

სასამართლომ გადაწყვიტა, მოკლული დიასახლისის თუთიყუში დაკითხოს

არგენტინის დედაქალაქ ბუენოს აირესის სასამართლომ გადაწყვიტა, დაკითხოს თუთიყუში, რომელსაც მოკლული დიასახლისის უკანასკნელი სიტყვები ახსოვს.

46 წლის ელისაბედ ტოლედოს ბინა სამ მამაკაცზე ჰქონდა გაქირავებული. 2018 წელს ქალი გააუპატიურეს და მოკლეს. მკვლელობაში ბინაში მცხოვრები სამიდან ორი მამაკაცია ეჭვმიტანილი: 51 წლის მიგელ სატურინიო როლონი და 62 წლის ხორხე რაულ ალვარესი. მესამე მამაკაცს ეჭვმიტანილის სტატუსი მას შემდეგ მოეხსნა, როდესაც მან საკუთარი ალიბი წარმოადგინა.

შემთხვევის ადგილზე მომუშავე ერთ-ერთ პოლიციელს ოთახიდან შემოესმა სიტყვები: „არა, გთხოვთ, გამიშვით“. მან ოთახში შეიხედა, მაგრამ იქ მხოლოდ იატაკზე დაგდებულ ლეიბზე მწოლიარე შიშველი ტოლედოს სხეული და გალიაში მჯდომი თუთიყუში შენიშნა.

პოლიციელი თვლის, რომ თუთიყუში მოკლული ქალის უკანასკნელ სიტყვებს იმეორებდა. ტოლედოს მეზობელმა დაადასტურა, რომ თუთიყუში გამუდმებით იმეორებდა ამ სიტყვებს. როდესაც ერთ-ერთმა მამაკაცმა ტოლედოს დაარტყა, თუთიყუშმა დაიძახა: „რატომ დამარტყი“.

მტკიცებულებად ბრალდების მხარე ითვალისწინებს მსხვერპლის წინამხარზე დარჩენილ ნაკბენის კვალს, რომელიც, როგორც ისინი ამტკიცებენ, როლონის კბილების ანაბეჭდს სრულად ემთხვევა. ტოლედოს სხეულზე აღმოჩენილი დნმ-ის ნიმუშები, პროკურორის აზრით, დანაშაულში ალვარესის მონაწილეობას ადასტურებს.

დაშავებულმა ძაღლმა დაღუპული პატრონი არ მიატოვა

ტაილანდის პროვინცია ჩაიაპხუმში ერთგული ძაღლი გვერდიდან არ შორდებოდა თავის დაღუპულ პატრონ ქალს. თვითმხილველის მიერ გადაღებული ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა საინფორმაციო სააგენტომ გამოაქვეყნა.

ჭექა-ქუხილის დროს მანქანას, რომლითაც 55 წლის კასემ ჩაირატი და მისი ქმარი ბუნსუანი მგზავრობდნენ, ხე დაეცა. შედეგად ქალი დაიღუპა, ხოლო მამაკაცი დაზიანებულ მანქანაში გაიჭედა და გონება დაკარგა. შემთხვევის ადგილზე მისულმა სასწრაფო დახმარების თანამშრომლებმა და პოლიციელებმა კასემის ცხედრის გვერდით მისი პუდელი, სახელად მაჰი აღმოაჩინეს, რომელიც, მიუხედავად დაშავებისა, საკუთარ ტრავმებს ყურადღებას არ აქცევდა და ცდილობდა, პატრონს დახმარებოდა.

როდესაც მანქანიდან ქალის ცხედარი ამოასვენეს, ძაღლი მას გვერდიდან არ მოსცილებია. პოლიციის ვიცეპოლკოვნიკ ნატხაპხან დეჩპონკრანგას თქმით, პუდელი პატრონზე უფრო მეტად ზრუნავდა, ვიდრე საკუთარ თავზე.

– ჩვენ ძაღლი სამკურნალოდ გადავაგზავნეთ, – განაცხადა მან, – ის ვეტერინარებთან მანამდე დარჩება, სანამ დაღუპული ქალის ოჯახის წევრები მის წაყვანას შეძლებენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ კარგი შედეგით სქესობრივ სისუსტესა და უძლურებასაც. მკურნალობაში, თანამედროვე საშუალებების გარდა, ვიყენებ ქარხნულ „ერექტორებს“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს და უტყუარია სარგებლობის დროს. მისი ფასი სიმბოლურია და ღირს 50 ლარი. ტელ: 593-60-60-44 იკითხეთ ექიმი მერაბი.

ქინქლაძემ პრემიერლიგა შეცვალა

ბრიტანული მედია წერს, რომ 1995 წლის ზაფხულის ტრანსფერებმა პრემიერლიგა საფუძვლიანად შეცვალეს. ამაში წვლილი რამდენიმე ფეხბურთელს მიუძღვის, მათ შორის ნახსენებია ქართველი გიორგი ქინქლაძეც.

აი, რას წერენ ბრიტანელები...

ინგლისურ ფეხბურთში ისტორიული თარიღებიც არსებობს. ერთი ასეთი 1995 წლის 31 მაისია. 25 წლის წინ ჩელსი იტალიურ სამპდორიას რუუდ გულიტის ტრანსფერზე შეუთანხმდა და ნისლიან ალბიონზე ფეხბურთის სახეც შეიცვალა. ახალდაარსებულ პრემიერლიგაში უკვე იყვნენ ისეთი კაშკაშა უცხოელი ვარსკვლავები, როგორიც ერიკ კანტონა და იურგენ კლინსმანია, მაგრამ სუპერვარსკვლავი გულიტის დამატება ინგლისური სატრანსფერო ბაზრისთვის წამახალისებელი გამოდგა.

იმ დღეებში გულიტს სხვები მიყვნენ: დენის ბერგკამპის არსენალში გამოჩენას ისედაც დიდი იმედებით ელოდნენ, მაგრამ დავიდ ჟინოლა, გიორგი ქინქლაძე და ჟუნინიო შედარებით უცნობები იყვნენ, ისინი შესაბამისად, ნიუკასლში, სიტისა და მიდლსბროში გადავიდნენ და ინგლისში თავიანთი კლუბების ლეგენდები გახდნენ.

რუუდ გულიტი (სამპდორია-ჩელსი)

მსოფლიო კლასის ვარსკვლავი, რომელიც კარიერის საუკეთესო წლებში, ალბათ, პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელი იყო. ნიდერლანდელი 32 წლის იყო, როცა ჩელსიმ თავისუფალი აგენტის სტატუსით დაიმატა, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. გულიტი თავიდან ლიბეროს პოზიციაზე გამოიყენეს, თუმცა ექსპერიმენტი მალევე შეწყდა, მისი ადგილი ნახევარდაცვაში იყო, სადაც მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ის ამ პოზიციაზე ჯადოქარია. 1996 წელს მან ჩელსისა და ჰოდლს წარმატება მოუტანა.

დენის ბერგკამპი (ინტერი-არსენალი)

7.5 მილიონ გირვანქა სტერლინგად გადასულმა ბერგკამპმა ბრიტანეთის სატრანსფერო რეკორდი დაამყარა. ნიდერლანდელმა არსენალის მაისურით 423 მატჩი ჩაატარა და 120 გოლი გაიტანა. ახლა ბერგკამპის ბრინჯაოს ქანდაკება „ემირეიტსის“ შესასვლელს ამშვენებს...

დავით ჟინოლა (პსჟ-ნიუკასლი)

1995 წლის იანვარში ყველას გაუკვირდა, როცა ნიუკასლი ენდი კოულს შეეღია და მანჩესტერ იუნაიტედში გაუშვა. თუმცა, კევინ კიგანის გუნდი არ დასუსტებულა, პირიქით. სულ რაღაც 2.5 მილიონ გირვანქად ნაყიდმა ჟინოლამ დაამტკიცა, რომ დიდი ოსტატი იყო, ის მარცხენა ფლანგზე დაქროდა. ჟინოლა ფანების ფავორიტი ფეხბურთელი გახდა.

გიორგი ქინქლაძე (დინამო-სიტი)

სიტის ფანები ახლა მიეჩვივნენ წარმატებებს, რომლებიც მათ უცხოელებმა, შეიხ მანსურმა, პეპ გვარდიოლამ, სერხიო აგუერომ, კევინ დე ბრუინემ, ვენსან კომპანიმ და სხვებმა მოუტანეს, მაგრამ გიორგი ქინქლაძეს სიტის ფანების გულში სპეციალური ადგილი ეკუთვნის. ის მათ „მეინ როუდის“ ეპოქიდან ახსოვთ, როცა გუნდის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი უვე როსლერი იყო.

ქინქლაძის პირველივე სეზონში სიტი პრემიერლიგიდან გავარდა, ის კი გუნდიდან 1998 წელს წავიდა, როცა გუნდმა კიდევ ერთი დივიზიონით ჩაინაცვლა. მაგრამ ქართველი კაშკაშა ნაპერწკალი იყო ბნელ ხანაში. მისი დრიბლინგი, საუცხოოდ შესრულებული საჯარიმოები არავის დაავიწყდება. განსაკუთრებით საოცარი კი საუთჰემპტონის კარში გატანილი გოლი იყო.

ჟუნინიო (სან პაულუ-მიდლსბრო)

ამ ხუთეულიდან ჟუნინიო ყველაზე ბოლოს მივიდა პრემიერლიგაში – 1995 წლის ოქტომბერში 4.75 მილიონად გადავიდა მიდლსბროში. ბრაიან რობსონმა გუნდში შემდეგ ფაბრიციო რავანელიც მიიწვია, მაგრამ მიდლსბროს ფანებს არავინ ახსოვთ ისე, როგორც ბრაზილიელი.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედეგები

1 ივნისი

ფეხბურთი

გერმანია. ბუნდესლიგა

კიოლნი-ლაიფციგი 2:4

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	29	21	4	4	86-28	67
2.დორტმუნდი	29	18	6	5	80-35	60
3.ლაიფციგი	29	16	10	3	74-31	58
4.ლევერკუზენი	29	17	5	7	54-34	56
5.გლადბახი	29	17	5	7	57-35	56
6.ვოლფსბურგი	29	11	9	9	41-36	42
7.ჰოფენჰაიმი	29	12	6	11	40-48	42
8.ფრაიბურგი	29	10	8	11	38-41	38
9.ჰერტა	29	10	8	11	43-50	38
10.შალკე	29	9	10	10	34-46	37
11.კიოლნი	29	10	4	15	46-56	34
12.აინტრახტი	28	9	5	14	46-53	32
13.აუგსბურგი	29	8	7	14	40-56	31
14.უნიონი	29	9	4	16	34-52	31
15.მაინცი	29	8	4	17	37-62	28
16.ფორტუნა	29	6	9	14	31-58	27
17.ვერდერი	28	6	7	15	30-59	25
18.პადერბორნი	29	4	7	18	32-61	19

დანია. სუპერიგა

რანდერსი-ჰობრო 0:1

მიდტიულანდი-ჰორსენსი 0:1

ლუნგბიუ-კოპენჰაგენი 1:4

ორხუსი-ოდენსე 1:0

სამსახურში მოწევა იარაღის სროლით დასრულდა

ტაილანდის პროვინცია კალასინის მცხოვრები კოლეგისთვის, რომელმაც სთხოვა, რომ სამუშაო ადგილზე სიგარეტის მოწევა შეეწყვიტა, სამსახურში ცეცხლის გახსნაშია ეჭვმიტანილი და სამართალდამცავების მიერაა დაპატიმრებული.

23 წლის ნათაპონ კანხომმა თავის 27 წლის კოლეგა ტირავატ ტამკანტის სამუშაო ადგილზე სიგარეტის მოწევის გამო შენიშვნა მისცა.

ამის პასუხად ტამკანტიმ პისტოლეტი ამოიღო და კოლეგას ცეცხლი გაუხსნა. მომხდარი სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირეს. კოლეგის მარჯვენა თეძოში დაჭრის შემდეგ, დამნაშავემ შემთხვევის ადგილი დატოვა. დაზარალებულის თქმით, ტამკანტიმ მას ხუთი ტყვია დაახალა.

ადგილობრივმა პოლიციამ დაადგინა, რომ მამაკაცი, შესაძლოა, პროვინცია რაიონგში ნათესავებთან გამგზავრებულიყო. მათ აღნიშნული ინფორმაცია კოლეგებს გადაუგზავნეს. რაიონგის პროვინციის პოლიციამ ტამკანტის კაუჩუკის პლანტაციაში მიაგნო და დააპატიმრა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ის შეირაღებული იყო.

მას მკვლელობის მცდელობის და ნებართვის გარეშე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას ცეცხლსასროლი იარაღის ტარების ბრალდება წაუყენეს.

ნინა სუბლატის პატარამ პირველი საჩუქარი მიიღო

მართალია მომღერალ ნინა სუბლატს შვილი ჯერ არ გაუჩენია, მაგრამ მისმა პატარამ საჩუქრების მიღება უკვე დაიწყო:

– ძალიან ძალიან საყვარელი და საჭირო საჩუქარი გამომიგზავნა ბეიბი ლაინმა.

ისეთი ბაუნსერია – დედის ფუნქციასაც ასრულებს, მამისაც და მეგობრებისაც და ცოტა დიდი რომ იყოს, მეც გამოვიყენებდი სიამოვნებით. დიდი მადლობა, დარწმუნებული ვარ კომფორტულად გამოიძინებს.

„ბრიტანული წყაროები საქართველოს შესახებ“



„ბრიტანული წყაროები საქართველოს შესახებ“ – ასე ჰქვია გამოცემას, რომელსაც ისტორიკოსი გიორგი კალანდია საზოგადოებას სულ მალე წარუდგენს:

– ორწლიანი შრომის შედეგი: „ბრიტანული წყაროები საქართველოს შესახებ“. 200-ზე მეტი წყარო, თარგმანით და შესაბამისი კომენტარებით. XVI-XIX საუკუნეები: იწყება ტიუდორების კანცელარიიდან და მთავრდება „თაიმისის“ არქივით. აქ არის ყველაფერი: სიმონ პირველი, ბრძოლა თბილისისათვის, საქართველო და ევროპა, დადიანები, ლაზები, ყირიმის ომი და საქართველო. 400 გვერდი. 150-ზე მეტი ფერადი ილუსტრაცია.

წიგნი მომავალ კვირას სტამბაში წავა. ყდაზე: წმინდა გიორგი ბირლინგემის ტაძრის ვიტრაჟიდან. წმინდა გიორგი ისევე, როგორც საქართველოს, ბრიტანეთის მფარველადაც ითვლება. აღნიშნული შრომა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

განძის მაძიებელი შეყვარებულებს წყალში ჩავარდნილი ნიშნობის ბეჭდის პოვნაში დაეხმარა

ტეხასელი განძის მაძიებელი ქალაქ ჰიუსტონის გარეუბანში კრისტალ-ბიჩის პლაჟზე წყვილს მექსიკის ყურეში წყალში ჩავარდნილი ნიშნობის ბეჭდის პოვნაში დაეხმარა.

კარენ ბოლმანსკიმ ფეისბუქში საკუთარ გვერდზე დაწერა, რომ 25 მაისს მისი მეუღლე ლითონმაძიებელი მოწყობილობით პლაჟზე დადიოდა, როდესაც მასთან შეყვარებული წყვილი მივიდა და დახმარება სთხოვა.

წყვილმა მამაკაცს უთხრა, რომ ქალს ფრენბურთის თამაშის დროს ბეჭედი თითიდან წასძვრა და წყალში ჩავარდა.

ბოლმანსკის ქმარი დიდხანს ეძებდა დაკარგულ ბეჭედს და ბოლოს ძვირფასი სამკაული იპოვა.

– მამაკაცი ისეთი გახარებული იყო, რომ შეყვარებულს კიდევ ერთხელ სთხოვა ხელი, – დაწერა ბოლმანსკიმ.

ქალი ლეკვების გადასარჩენად ალმოდებულ სახლში შევიდა და დაიღუპა

ფილიპინების პროვინცია ბაკოლდის მკვიდრმა გადაწყვიტა ალმოდებულ სახლში გალიაში დარჩენილი ექვსი ლეკვი გადაერჩინა და დაიღუპა.

36 წლის მიშელ მირასოლის სახლში ხანძარი ხუთშაბათს გაჩნდა. ქალმა და მისმა ოჯახმა ერთსართულიანი სახლის დატოვება დროულად შეძლეს. მირასოლმა სამი ძაღლი გამოიყვანა და ისინი ეზოში დატოვა, რის შემდეგაც სახლში შებრუნდა ლეკვების გადასარჩენად, რომლებიც სააბაზანოს გვერდით გალიაში იმყოფებოდნენ.

ქალს სქელი ბოლის გამო სუნთქვა შეეკრა და გონება დაკარგა. ხუთი ლეკვი პატრონთან ერთად დაიღუპა, ხოლო მეექვსე მეხანძრეებმა გადაარჩინეს. მირასოლის ცხედარი მეხანძრეებმა სააბაზანო ოთახში იპოვეს. მას სველი პირსახოცი ეფარა, რომლითაც ის ბოლისგან სახეს იფარავდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ისტორიული ციხე-სიმაგრე ქობულეთის მახლობლად; 2. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 3. უნგრული არმიის ძველი სახელწოდება; 4. პოპულარული უალკოჰოლო, მატონიზირებელი სასმელი; 5. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ბრაზილიელი ავტომრბოლელი; 6. სამეფო კვერთხი; 9. მდინარე რიონის მარცხენა შენაკადი; 10. ბულიონში მოხარშული დაკეპილი ხორცის გუნდა; 11. ლიგურიის ზღვისპირა კურორტი იტალიაში; 14. თანავარსკვლავედის ძველი ქართული სახელწოდება; 16. დამარილებული ღორის ქონი; 18. ქსოვილების დამზადების ოსტატი; 20. უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული; 23. კომბინაცია პოკერში; 24. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 25. კანადის დედაქალაქი; 26. პატარა ბუ.

თარაზულად: 7. მუდმივი სიდიდე მათემატიკაში; 8. უბანი თბილისში; 12. ხშირი, დაბურული ტყე; 13. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 15. ტროპიკული ხილი; 17. სასტუმრო „თბილისი-მარიოტის“ ძველი სახელწოდება; 19. საჭმელი სოკო; 21. მდინარე პოლონეთში; 22. დადებითად დამუხტული ელექტროდი; 27. თანაფარდობა ნაწილებს შორის; 28. უსიტყვო თეატრალური წარმოდგენა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პლებისციტი; 2. ნოველა; 3. სუპორტი; 4. რუმბი; 5. კონსუელო; 6. ებანი; 7. ბენუარი; 9. ბორნეო; 13. დიდრო; 17. ქისი; 18. მზე.

თარაზულად: 1. პაოლინი; 3. სეტერი; 8. კომბლე; 10. ცეილონი; 11. ნიორი; 12. მინკუსი; 14. მცხეთა; 15. ყვირილა; 16. ლუქსი; 19. ბერდია; 20. ყიფშიძე; 21. საცივი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ვისკი; 2. კლონი; 3. გალიერა; 4. ფეტა; 5. სუმო; 6. სტატიკა; 9. კონდენსაცია; 10. ალარმისტი; 11. ლუსტრაცია; 14. ტოკაი; 16. დაისი; 18. გრაფიკა; 20. ფორმატი; 23. ალაო; 24. ცხუმი; 25. ეროტი; 26. ლაპი.

თარაზულად: 7. პანკრეასი; 8. მონუმენტი; 12. ფეოლა; 13. ფურია; 15. სიდრი; 17. კომენტარი; 19. რვალი; 21. დასტა; 22. კიურე; 27. აკონვაკუა; 28. კომპლექტი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

3 ივნისი

აშშ დოლარი — 3.1172	ევრო — 3.4626
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.8613	100 რუსული რუბლი — 4.4772

ამინდის პროგნოზი 3 ივნისისათვის

მესი: „კორონავირუსმა შესაძლოა ფეხბურთი შეცვალოს“

ბარსელონას არგენტინელმა ლეგენდამ ლიონელ მესიმ კორონავირუსზე ისაუბრა და თქვა, რომ შესაძლოა ამ ვირუსის შემდეგ ფეხბურთი სხვანაირი გახდეს და ზოგადად ცხოვრებაც შეიცვალოს.

მესის თქმით, საზოგადოება უნდა შეეგუოს, რომ უსაფრთხოების დაცვა აუცილებელია:

– ვფიქრობ, რომ ფეხბურთი დაბრუნდება, მაგრამ შესაძლოა ის სხვანაირი გახდეს და ამას უნდა შევეგუოთ, თუმცა იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება. მინდა, რომ მაყურებელი ისევ დავინახო ტრიბუნებზე, თუმცა მესმის, რომ ჯერჯერობით ეს შეუძლებელია.

ჯენარო გატუზოს და გარდაიცვალა

ჯენარო გატუზოს ოჯახში ტრაგედია მოხდა. გატუზოს 37 წლის და ფრანჩესკა გარდაიცვალა. ფრანჩესკა თებერვლის შემდეგ რეანიმაციაში იმყოფებოდა, თუმცა მისი გარდაცვალების მიზეზი კორონავირუსი არ არის.

მილანმა უკვე გამოთქვა მწუხარება ფრანჩესკას გარდაცვალების გამო და მათ ოფიციალურ გვერდზე ჯენაროს მიუსამძიმრეს.

თვითონ გატუზოს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

ნელსონ სემედო მანჩესტერ სიტის ფეხბურთელი გახდება

ბარსელონას პორტუგალიელი მცველი ნელსონ სემედო დიდი ალბათობით კარიერას მანჩესტერ სიტიში გააგრძელებს. ასეთი ინფორმაცია გავრცელდა ესპანურ მედიაში. მანჩესტერ სიტი მზად არის, სემედოს ტრანსფერში 40 მილიონი გადაიხადოს და ბარსელონა ამ თანხაზე თანახმაა.

სემედო ბარსელონას ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია, თუმცა იყო პერიოდი, როდესაც სემედო სათადარიგოთა სკამზე იჯდა. ადრე მისი შეძენით ტურინის იუვენტუსიც იყო დაინტერესებული.

ტერ შტეგენი: „ბარსელონას დატოვებას არ ვაპირებ“

ბარსელონას გერმანელმა მეკარემ მარკ ანდრე ტერ შტეგენმა განაცხადა, რომ მისი ბარსელონადან წასვლის შესახებ ჭორები სიმართლეს არ შეესაბამება და ის ამ ზაფხულში გუნდს არ შეიცვლის:

– სისულელეა, თითქოს ბარსელონას დატოვებას ვაპირებ და მინდა, რომ სამშობლოში დავბრუნდე. ამ ზაფხულში ნამდვილად არსად წავალ და მინიმუმ რამდენიმე წელიწადი ბარსელონას ფეხბურთელი ვიქნები. ამის შემდეგ რა მოხდება, უკვე ზუსტად არ ვიცი.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი



3 ივნისისათვის

ვერძი – საქმე მთელი გულით აკეთეთ. იყავით თვითმყოფადი. ახლობლებისაგან მეტი მხარდაჭერა გჭირდებათ. ** კურო** – დღეს მთავარია, ყურადღებით იყოთ და შეცდომა არსად დაუშვათ. მხოლოდ საკუთარი თავის იმედი იქონიეთ. **ტყუპები** – კეთილისმყოფელი დღეა. ფიზიკური დატვირთვა თქვენს ჯანმრთელობაზე დადებითად იმოქმედებს. **კირჩხიბი** – მიუხედავად მოულოდნელი ცვლილებებისა, მატერიალური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. საოჯახო საქმეებს ნუ დაივიწყებთ. **ლომი** – ნებისმიერ საქმეში არასტანდარტული მეთოდები გამოიყენეთ. ემოციური თვალსაზრისით რთული დღეა. **ქალწული** – უძრავ ქონებასთან დაკავშირებით პრობლემები იქმნება. კრიტიკული სიტუაციების ალბათობა იზრდება. **სასწორი** – ილუზიები, უნდობლობა, მოტყუება დღევანდელი დღის თანმდევია. ერიდეთ კომერციულ საქმიანობას. **ღრიანკალი** – ენერგიულად ხართ. სასიცოცხლო პოტენციალი დიდია. გარშემომყოფებს შეძლებისდაგვარად დაეხმარეთ. **მშვილდოსანი** – ყოველგვარი კამათი, საქმის გარჩევა მაქსიმალურად აიცილეთ თავიდან. ეს დღე მშვიდ გარემოში გაატარეთ. **თხის რქა** – სერიოზული პროვოკაციებისთვის მზად იყავით. ასევე მოსალოდნელია რომანტიკული გატაცება. **მერწყული** – ეს დღე დიდი შინაგანი თავისუფლების შეგრძნებით გამოირჩევა. ფული გონივრულად ხარჯეთ. **თევზები** – დაუფიქრებელ ნაბიჯს ნუ გადადგამთ. ავტორიტეტს გაუფრთხილდით. პრობლემების მოგვარებას რთულად, მაგრამ მაინც მოახერხებთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

მოხუცი ქალი თევზს ყიდულობს და გამყიდველს ეკითხება:

– თევზი ახალია?

– ბებო, ხომ ხედავ, რომ ცოცხალია.

– მასე მეც ცოცხალი ვარ...

●●●

ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:

– გუშინღამ შენი სახლიდან რა ყვირილის ხმა გამოდიოდა?

– ბაღანას ველაპარაკებოდი თბილისში.

– მერე, ვერ დაურეკე?

●●●

გოგოს ეკითხებიან:

– შეყვარებული გყავს?

– არა.

– როგორ, ასეთ ღამაზ, ჭკვიან და შესანიშნავ გოგოს შეყვარებული არ გყავთ?

– მყავდა და ბედნიერებისგან სული განუტევა!

●●●

პატრული მანქანას აჩერებს და მძღოლს ეუბნება:

– თქვენ სიჩქარის გადაჭარბებით მოძრაობდით.

– არ მჯერა, რადარი მაჩვენეთ, რადარი.

– რადარი არ გვაქვს.

– აბა, როგორ მიხვდი, ჩქარა რომ მივდიოდი, მანქანა იყო გაოფლილი?

●●●

გორში გათხოვილი ქალი მშობლებს ტელეფონზე ელაპარაკება და ეუბნება:

– სამოთხეში ვარ, სამოთხეში!

– ეგ როგორ, შვილო?

– როგორ და ტანსაცმელი მე არ მაქვს, ფეხსაცმელი, არც საჭმელი, მარტო ვაშლია აქ და სამოთხეა, აბა სხვა რა არის?...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნოდიკო ტატიშვილი აფეთქების ეპიცენტრში აღმოჩნდა

მომღერალი ნოდიკო ტატიშვილი თბილისში ამაშუკელის ქუჩაზე მდებარე გაზის გასამართ სადგურზე მომხდარი აფეთქების ეპიცენტრში აღმოჩნდა.

ინფორმაცია მომღერალმა თავად გაავრცელა:

– მეგობრებო, მადლობა ყურადღებისთვის! ვერ გპასუხობთ ყველას, მე მაპატიეთ!

რაც მთავარია, გადავრჩით გაზის გასამართ სადგურის გარშემო კორპუსებში მცხოვრები მოსახლეობა, თუმცა არის რამდენიმე დაშავებული, სამწუხაროდ!

თუმცა, თუ არ აიკრძალება კორპუსებთან ასეთი სისტემების არსებობა, დიდი შანსია, რომ უარესი მოხდეს!

თბილისის მერია – გთხოვთ, მიიღოთ ზომები და გადაარჩინოთ ადამიანების სიცოცხლე!

ფრიდონ სულაბერიძე და ომარ მხეიძე მთავრობას მიმართავენ

საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარე, პროფესორი რეზო ჭანიშვილი, საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის საპატიო თავმჯდომარე ომარ მხეიძე და საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ფრიდონ სულაბერიძე საქართველოს მთავრობას – საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ გიორგი გახარიას, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს, ბატონ მიხეილ ჩხენკელს მიმართავენ:

– რამდენიმე თვეა, გლობალურმა პანდემიამ მძიმე კრიზისულ მდგომარეობაში ჩაყენა სრულიად საქართველოს მოსახლეობა. უმუშევრად და უსახლკაროდ დარჩენილთა რიგებში აღმოვჩნდით ჩვენც თვითდაფინანსებაზე მყოფი ქორეოგრაფ-პედაგოგებიც. შეჩერდა ზოგადსაგანმანათლებლო დანესებულებებში სასწავლო პროცესი და შეჩერდა ჩვენი სამუშაოც. აღარ ტარდება ტრადიციული ღონისძიებები, დაცარიელდა საბავშვო ქორეოგრაფიული სტუდიები და დარბაზები, შეჩერდა ჩვენი ქვეყნის კულტურული ცხოვრება და საფრთხის წინაშე დადგა ბავშვთა ქართულ ქორეოგრაფიულ ხელოვნებასთან ზიარების ესოდენ მნიშვნელოვანი საქმე. ქვეყნის მაშტაბით ასობით უმუშევრად დარჩენილი ქორეოგრაფი ვეღარ უმკლავდება გაუსაძლის ყოფას, მით უფრო იმ ფონზე, როდესაც უახლოეს პერსპექტივაში საიმედო, მათთვის, ჯერ კიდევ არაფერი ჩანს. გამომდინარე შექმნილი მდგომარეობიდან, სრულიად ქორეოგრაფიული საზოგადოება, მათ შორის კერძო სექტორი მოგმართავთ თხოვნით: საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული რეგულაციების ფარგლებში, თუ არის შესაძლებელი ივნისიდან საბავშვო ქორეოგრაფიულ სტუდიებსა და ანსამბლებში რეპეტიციების დაწყება 10-12 მოცეკვავის შემადგენლობით.

ვერა ფაღავას ნამუშევარი 64.000 დოლარად გაიყიდა

ქართველი მხატვრის ვერა ფაღავას ნამუშევარი „პირამიდა“, რომელიც 1975 წელს არის შესრულებული, ნიუ იორკში გამართულ არტ-ბაზრობაზე სოლიდურ ფასად – 64 000 დოლარად გაიყიდა.

ვერა ფაღავა საფრანგეთში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. მისი ნამუშევრები კარგად იყო ცნობილი სახვითი ხელოვნების მოყვარულებისთვის მთელ მსოფლიოში. 1966 წელს მან საფრანგეთი ვენეციის ბიენალეზეც კი წარადგინა.

ხელოვანი, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა და როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, საოცრებებს ქმნიდა, 80 წლის ასაკში გარდაიცვალა. დაკრძალულია მშობლების გვერდით, ლევილის სასაფლაოზე.

თეა დარჩიამ ნინო რამიშვილს ცეკვა მიუძღვნა

„სუხიშვილების“ მოცეკვავე თეა დარჩიამ ანსამბლის დამაარსებელს, ნინო რამიშვილს ცეკვა მიუძღვნა. ნინო რამიშვილთან ერთად ცეკვა თეამ ნიკო ფიროსმანსაც მიუძღვნა. როგორც მოსალოდნელი იყო, თეას ცეკვამ ინტერნეტში დიდი მოწონება დაიმსახურა. ვიდეოს უამრავი გაზიარება აქვს.

სპეციალური ვიდეორგოლი თეამ ნუკრი კაპანაძისა და ქვინთესენსის დუეტის თანხლებით გადაიღო.

– პატივისცემითა და დიდი სიყვარულით კლიპი, რომელიც ეძღვნება ნიკო ფიროსმანს და ნინო რამიშვილს! დიდი სიყვარულით!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. საიდუმლო დოკუმენტების დამტარებელი მთავრობის ან სამხედრო უწყების კურიერი; 2. სპარსულ-ტაჯიკური პოეზიის ფუძემდებელი; 3. იმპრესიონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი ფრანგი მხატვარი; 4. ზღვისპირა კურორტი ხორვატიაში; 5. გერმანიის პირველი რაიხსკანცლერი; 6. შოკოლადის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 7. ყირგიზეთის დედაქალაქი; 9. მორის რაველის ცნობილი საორკესტრო ნაწარმოები; 13. ფანტასტიკური ჟანრის ფრანგი მწერალი; 17. ძვირფასი ქვა, რომელზეც ამოკვეთილია წარწერა ან ორნამენტი; 18. სოკოვანი წარმონაქმნი საკვები პროდუქტის ზედაპირზე.

თარაზულად: 1. მოკლე დისტანციებზე მოასპარეზე სპორტული ცხენი; 3. ჰორიზონტალური სამშენებლო კონსტრუქცია; 8. სარეცხი მანქანის გამომგონებელი ამერიკელი ინჟინერი; 10. თამბაქოს წარმოების ცენტრი თურქეთში; 11. რაიმე პროცესის სამუშაოს დასრულებული პერიოდი დროის გარკვეულ მონაკვეთში; 12. ფრანგული სიგარეტი; 14. შხამიანი გველი; 15. გერმანული ჟურნალი; 16. ბოულინგის მეორე სახელწოდება; 19. უღრანი, გაუვალი ტროპიკული ტყე; 20. ექიმის სპეციალობა; 21. ქართველი ავტომრბოლელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა